# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი

# შინაარსი

**თავი I.** ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ ---------- 6
ისტორია ---------- 6
მდებარეობა ---------- 6
ფართობი ---------- 7
გეოგრაფია ---------- 7
მმართველობის ორგანოები ---------- 8
მოსახლეობა ---------- 9
ეკონომიკა ---------- 9
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ---------- 10
საჯარო დაწესებულებები ---------- 10
ღირშესანიშნაობები ---------- 10
ბიუჯეტი ---------- 11
**თავი II.** ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ---------- 11
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი ---------- 12
შემოსულობები ---------- 14
გადასახდელები ---------- 21
2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა ---------- 30
2021 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა ---------- 57
**თავი III.** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიანი პერიოდში ---------- 69
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება ---------- 71
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა ---------- 80
04 00 განათლება ---------- 81
05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი ---------- 83
06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა ---------- 92

01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - 102

## შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს.მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს. ცნობილია, რომ გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე იქნება მიმართული როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი 4 წლის განმავლობაში.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.



1. ინფრასტრუქტურის განვითარება.



2. დასუფთავება და გარემოს დაცვა.



3. განათლება.



4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი.



5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.




6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### ისტორია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქვის ხანის მრავალი ნამოსახლარია აღმოჩენილი: ხომულის მღვიმე, ქვილიშორის მღვიმე, შავგორას მღვიმე, საქაჯიას მღვიმე, საწურბლიას ეხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნასოფლარი მელოური, მუხიანის, ფარცხანაყანევისა და ქვედა მაღლაკის ანტიკური სამაროვნები.

გათხრების შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ზედა პალეოლითში (ძველი ქვის ხანა) 30-40 ათასი წლის წინათ და ქვა-სპილენძის ხანაში, 7 ათასი წლის წინათ უცხოვრია. თეთრ მღვიმეში ნაპოვნი იქნა კავკასიაში ყველაზე ადრეული იარაღი-სპილენძის ისრის პირი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 - მე-5 ათასწლეულით თარიღდება. მე-12-13 საუკუნეებში კი იგი უკვე ცნობილია, როგორც სამკურნალო პუნქტი. წყალტუბოში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეს – სამკურნალო წყლებს საფუძვლიანი ქიმიური ანალიზი 1913 წელს ჩაუტარდა, რამაც მისი უნიკალურობა დაადასტურა. ოფიციალურ ბალნეოლოგიურ კურორტად წყალტუბო 1920 წლიდან იქცა, ხოლო ქალაქის სტატუსი 1953 წელს მიენიჭა. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში იგი ცნობილი იყო როგორც საკავშირო დონის კურორტი.

**მდებარეობა**



წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში, იმერეთის ცენტალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი, დასავლეთით - სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით - ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები.

**ფართობი**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი არის 707,5 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 30543 ჰექტარი. ტყის საერთო ფონდი შეადგენს 24 685 ჰექტარს, ხოლო 345 ჰექტარი დაკავებული აქვს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ტბები: თავშავას ტბა და ასევე ხელოვნურად შექმნილი ,,ცივი ტბა“, მდინარეები: რიონი შენაკადებით, წყალტუბოსწყალი, გუბისწყალი და სხვა.

**გეოგრაფია**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ - გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბურ მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილების შტოებით და მხოლოდ კოლხეთის დაბლობისაკენ არის გახსნილი. ქვაბულის გარშემო მდებარე ფერდობებს სხვადასხვა სიმაღლე და ექსპოზიცია აქვთ, რელიეფის ძირითადი ფორმები დაბლობ - ბორცვიანია და მთიან რეგიონში გავრცელებულია წითელმიწა, ეწერი და ნეშომპალა ნიადაგები.

წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. აქ ზღვის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, მოკლე ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბო ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა - 15 გრადუსია. ყველაზე ცხელი აგვისტოს საშუალო ტემპერატურა -28-30 გრადუსია. ყველაზე ცივი თვეების იანვარ-თებერვლისა - 5 გრადუსი. საშუალო წლიური ტენიანობა 76 პროცენტია.

წყალტუბო მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის მთავარი არტერიაა მდინარე რიონი შენაკადებით მდ. წყალტუბო და გუბისწყალი. მათი წლიური ჩამონაენი 1690 მლნ. კუბ. მეტრს, ხოლო წყლის ხარჯი წამში 0.28-ს შეადგენდა, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა კი 1420 მმ იყო.

რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა. წყალი შეიცავს კეთილშობილ აირს, რადონის ემანაციას, აზოტის დიდ რაოდენობას და ჰელიუმს. რის გამოც მას აიროვან-აზოტიანი წყლების კლასს მიაკუთვნებენ.

წყალტუბოს მინერალური წყლის მაღალხარისხოვნების მაჩვენებელია ბუნებრივი ოპტიმალური ტემპერატურის 35 გრადუსის მუდმივობა, რაც ხელს უწყობს აბაზანების ადვილად ამტანიანობას. წყალი აბაზანებში პირდაპირ წყაროებიდან მიდის გათბობისა და გაციების გარეშე.

წყალტუბოს ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომლის საერთო ფონდი 2008 წლისათვის 24685 ჰექტარს შეადგენდა. ტყით დაფარული იყო 23706 ჰექტარი. ტყეების უმრავლესობა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. რეგიონში ტერიტორიის გატყიანება 34.9 პროცენტს შეადგენს.

პროგნოზით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისების მხრივ (თერმული წყლები, საშენი მასალები და სხვა) წყალტუბო დიდი მნიშვნელობის კურორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრი გახდება, რაც უპირველესად. მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

**მმართველობის ორგანოები**

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 39 წევრისაგან. მათგან 26 არჩეულია პროპორციული, ხოლო 13 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი პირველი მოადგილე და ორი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; საკრებულოს საფინანსო-

საბიუჯეტო კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია; საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 17 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი წყალტუბო და ადმინისტრაციული ერთეულები: გეგუთი, გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მაღლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, ოფშკვითი, პატრიკეთი, რიონი, საყულია, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ცხუნკური და სოფელ წყალტუბო.

**მოსახლეობა**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56 883 კაცია, მათ შორის მამაკაცი 28 343 და ქალი 28 540 (მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.მ. - ზე არის 81.2 კაცი). წყალტუბოში 48 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 47 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 9-ე ადგილზეა. მუნიციპალიტეტში დასახლებული 56 883 მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია 11 284 პირი, ხოლო სოფელში 45 599 მაცხოვრებელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5%-ია (3 713 804 მოსახლე), ხოლო იმერეთის რეგიონის 10,7%-ს შეადგენს (533 906 მოსახლე).

| წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2014 წლის მონაცემების მიხედვით | | |
|---|---|---|
| დასახლება | მოსახლეობა | ფართობი (კვ. კმ) |
| სულ საქართველო | 3713804 | 69700 |
| იმერეთის რეგიონი | 533906 | 6516,0 |
| წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 56883 | 707,5 |
| პროცენტი საქართველოსთან | 1,5% | 1,01% |

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 092 პენსიონერი. მათ შორის 1493 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა.

**ეკონომიკა**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია ტურიზმი. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს კურორტი წყალტუბო, რომელიც განთქმულია სამკურნალო თერმული წყლით. აქვე აღსანიშნავია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სპელეოლოგიური ძეგლები: კარსტული მღვიმეები, ძაბრები და ეხები. მათგან აღსანიშნავია სათაფლიის კარსტული მღვიმე, ხომულის მღვიმე, თეთრი მღვიმე, ,,პრომეთეს“ მღვიმე, საწურბლიას ეხი.

მუნიციპალიტეტის სასოფლო - სამეურნეო სავარგულები 30 543 ჰექტარია. სოფლის მეურნეობაში ძირითადად განვითარებულია მებოსტნეობა, მეხილეობა, მემარცვლეობა.

**სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა**

მუნიციპალიტეტის მთავარი სატრანსპორტო კვანძია ქალაქი წყალტუბო, რომელიც საავტომობილო გზებით უკავშირდება ქალაქებს: ქუთაისს, ხონს, ცაგერს, ტყიბულს. ქალაქი სარკინიგზო მაგისტრალით უკავშირდება ქუთაისს.

**საჯარო დაწესებულებები**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადსხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორის:

- 39 საჯარო სკოლა და 2 კერძო სკოლა, სადაც სწავლობს 5 673 მოსწავლე;
- 24 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 1500 ბავშვი;
- კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს 29 ბიბლიოთეკა, 3 მუზეუმი, 10 კლუბი, 2 კულტურის სახლი, სახალხო თეატრი და ანსამბლი ,,ნადური“;
- სპორტული ცენტრი - სადაც სპორტის 14 სახეობას ეუფლება 578 ბავშვი;

- ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სამუსიკო განათლებისა და სამხატვრო განათლების სკოლა 270 მოსწავლით. ასევე ცენტრში წრეების პროგრამებში მონაწილეობს 359 აღსაზრდელი.

**ღირსშესანიშნაობები**

წყალტუბო მრავალფუნქციური, მსოფლიო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი რესურსია უნიკალური რადონის შემცველობის წყალი, რითაც კურორტი ყოველთვის იზიდავდა დამსვენებლებს. წყალტუბო საინტერესოა ტურისტებისათვის აქ არსებული კარსტული მღვიმეების ,,სათაფლიისა'' და ,,პრომეთეს'' მიწისქვეშა სილამაზით და სამკურნალო სპელეოტურიზმისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით.

წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარეობს ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი გეგუთის სასახლე X-XI სს; იოანე ნათლიმცემლის სახელობის ეკლესია სოფელ დერჩში _ 8-9 ს.ს; ზარათის ეკლესია სოფ. ზარათში_ XI ს.ს.

წყალტუბოში მდებარეობს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახლ - მუზეუმი სოფელ ჩუნეშში, გიორგო ახვლედიანის სახლ - მუზეუმი სოფელ დერჩში.

**ბიუჯეტი**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მიმდინარე პერიოდისთვის შეადგენს **55 963.8** ათ. ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების ნახევარზე მეტს (37 610,3 ათ. ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (27239,1 ათ. ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითდად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

**თავი II. ბიუჯეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები**

2.1. **შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2026-2029 წლებისთვის**

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2026-2029 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზრვა შემდეგნაირად:

ათ.ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | | | |
| I. შემოსავლები | 42,392.3 | 13,705.1 | 28,687.2 | 52,348.9 | 14,829.5 | 37,519.4 | 49,967.6 | 11,057.3 | 38,910.3 | 38,200.0 | 341.4 | 37,858.6 | 40,703.9 | 43,434.7 | 46,374.7 |
| გადასახადები | 22,600.8 | 0.0 | 22,600.8 | 27,696.5 | 0.0 | 27,696.5 | 30,839.1 | 0.0 | 30,839.1 | 32,478.0 | 0.0 | 32,478.0 | 35,478.9 | 38,188.7 | 41,128.7 |
| გრანტები | 14,597.6 | 13,705.1 | 892.5 | 15,285.9 | 14,829.5 | 456.4 | 11,375.2 | 11,057.3 | 317.9 | 341.4 | 341.4 | 0.0 | 395.0 | 416.0 | 416.0 |
| სხვა შემოსავლები | 5,193.9 | 0.0 | 5,193.9 | 9,366.5 | 0.0 | 9,366.5 | 7,753.3 | 0.0 | 7,753.3 | 5,380.6 | 0.0 | 5,380.6 | 4,830.0 | 4,830.0 | 4,830.0 |
| II. ხარჯები | 25,904.0 | 3,061.9 | 22,842.2 | 31,039.8 | 2,106.2 | 28,933.5 | 37,938.3 | 1,339.4 | 36,598.9 | 34,257.4 | 341.4 | 33,916.0 | 35,315.7 | 37,139.9 | 38,960.7 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 4,185.7 | 144.0 | 4,041.8 | 4,749.2 | 0.0 | 4,749.2 | 5,648.4 | 0.0 | 5,648.4 | 5,575.0 | 0.0 | 5,575.0 | 5,509.8 | 5,509.8 | 5,520.4 |
| საქონელი და მომსახურება | 5,158.9 | 1,013.4 | 4,145.5 | 5,771.4 | 948.0 | 4,823.4 | 7,435.1 | 761.8 | 6,673.2 | 4,371.0 | 0.0 | 4,371.0 | 4,436.2 | 5,313.6 | 5,720.8 |
| პროცენტი | 20.3 | 0.0 | 20.3 | 10.9 | 0.0 | 10.9 | 17.4 | 0.0 | 17.4 | 17.4 | 0.0 | 17.4 | 17.4 | 0.0 | 0.0 |
| სუბსიდიები | 11,252.5 | 139.7 | 11,112.9 | 14,417.5 | 259.6 | 14,157.9 | 19,849.2 | 291.4 | 19,557.8 | 20,755.5 | 291.4 | 20,464.1 | 21,268.6 | 21,579.9 | 22,217.1 |
| გრანტები | 1,234.9 | 0.0 | 1,234.9 | 338.1 | 0.0 | 338.1 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 105.0 | 155.0 | 155.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,624.3 | 8.0 | 1,616.3 | 2,113.1 | 49.1 | 2,064.0 | 2,386.4 | 70.9 | 2,315.5 | 2,256.5 | 50.0 | 2,206.5 | 2,239.2 | 2,484.2 | 2,666.4 |
| სხვა ხარჯები | 2,427.3 | 1,756.8 | 670.5 | 3,639.5 | 849.6 | 2,790.0 | 2,552.0 | 215.2 | 2,336.7 | 1,222.0 | 0.0 | 1,222.0 | 1,739.5 | 2,097.4 | 2,681.0 |
| III. საოპერაციო სალდო | 16,488.2 | 10,643.3 | 5,845.0 | 21,309.1 | 12,723.2 | 8,585.9 | 12,029.3 | 9,717.9 | 2,311.4 | 3,942.6 | 0.0 | 3,942.6 | 5,388.2 | 6,294.8 | 7,414.0 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 13,198.1 | 10,091.1 | 3,107.0 | 19,795.8 | 13,328.9 | 6,466.9 | 20,605.5 | 9,955.8 | 10,649.7 | 3,887.0 | 0.0 | 3,887.0 | 5,204.6 | 6,104.2 | 7,208.4 |
| ზრდა | 14,848.6 | 10,091.1 | 4,757.5 | 22,776.5 | 13,328.9 | 9,447.6 | 21,654.5 | 9,955.8 | 11,698.7 | 4,187.0 | 0.0 | 4,187.0 | 5,364.6 | 6,264.2 | 7,368.4 |
| კლება | 1,650.6 | 0.0 | 1,650.6 | 2,980.7 | 0.0 | 2,980.7 | 1,049.0 | 0.0 | 1,049.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 160.0 | 160.0 | 160.0 |
| V. მთლიანი სალდო | 3,290.2 | 552.2 | 2,738.0 | 1,513.3 | -605.6 | 2,119.0 | -8,576.2 | -237.9 | -8,338.3 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 183.6 | 190.6 | 205.6 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | 3,234.6 | 552.2 | 2,682.4 | 657.8 | -605.6 | 1,263.5 | -8,631.8 | -237.9 | -8,393.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 3,234.6 | 552.2 | 2,682.4 | 1,263.5 | 0.0 | 1,263.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 3,234.6 | 552.2 | 2,682.4 | 1,263.5 | | 1,263.5 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | | 0.0 | | |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 605.6 | 605.6 | 0.0 | 8,631.8 | 237.9 | 8,393.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და | 0.0 | | | 605.6 | 605.6 | | 8,631.8 | 237.9 | 8,393.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეპოზიტები | | | | | | | | | | | | | | | |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | -55.6 | 0.0 | -55.6 | -55.6 | 0.0 | -55.6 | -55.6 | 0.0 | -55.6 | -55.6 | 0.0 | -55.6 | -55.6 | -55.6 | -55.6 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 55.6 | 55.6 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საშინაო | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 55.6 | 55.6 |
| VIII. ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 799.9 | 0.0 | 799.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## 2.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ფაქტი | | | 2024 წლის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | | |
| შემოსულობები | 44,042.8 | 13,705.1 | 30,337.7 | 55,329.6 | 14,829.5 | 40,500.1 | 51,016.6 | 11,057.3 | 39,959.3 | 38,500.0 | 341.4 | 38,158.6 | 40,863.9 | 43,594.7 | 46,534.7 | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები | 42,392.3 | 13,705.1 | 28,687.2 | 52,348.9 | 14,829.5 | 37,519.4 | 49,967.6 | 11,057.3 | 38,910.3 | 38,200.0 | 341.4 | 37,858.6 | 40,703.9 | 43,434.7 | 46,374.7 | |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,650.6 | 0.0 | 1,650.6 | 2,980.7 | 0.0 | 2,980.7 | 1,049.0 | 0.0 | 1,049.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 160.0 | 160.0 | 160.0 | |
| ფინანსური აქტივების კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | |
| | | | | | | | | | | | | | | | | |
| შემოსავლები | 42,392.3 | 13,705.1 | 28,687.2 | 52,348.9 | 14,829.5 | 37,519.4 | 49,967.6 | 11,057.3 | 38,910.3 | 38,200.0 | 341.4 | 37,858.6 | 40,703.9 | 43,434.7 | 46,374.7 | |
| გადასახადები | 22,600.8 | 0.0 | 22,600.8 | 27,696.5 | 0.0 | 27,696.5 | 30,839.1 | 0.0 | 30,839.1 | 32,478.0 | 0.0 | 32,478.0 | 35,478.9 | 38,188.7 | 41,128.7 | |
| დღგ | 19,601.0 | | 19,601.0 | 23,758.9 | | 23,758.9 | 27,239.1 | | 27,239.1 | 29,078.0 | | 29,078.0 | 31,878.9 | 34,588.7 | 37,528.7 | |
| საშემოსავლო გადასახადი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| ქონების გადასახადი | 2,999.8 | 0.0 | 2,999.8 | 3,937.6 | 0.0 | 3,937.6 | 3,600.0 | 0.0 | 3,600.0 | 3,400.0 | 0.0 | 3,400.0 | 3,600.0 | 3,600.0 | 3,600.0 | |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1,879.5 | | 1,879.5 | 2,495.3 | | 2,495.3 | 3,000.0 | | 3,000.0 | 2,800.0 | | 2,800.0 | 3,000.0 | 3,000.0 | 3,000.0 | |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | -103.1 | | -103.1 | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 58.1 | 0.0 | 58.1 | 77.7 | 0.0 | 77.7 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 | |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 5.7 | | 5.7 | 4.7 | | 4.7 | 1.0 | | 1.0 | 1.0 | | 1.0 | 1.0 | 1.0 | 1.0 | |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 52.4 | | 52.4 | 73.0 | | 73.0 | 9.0 | | 9.0 | 9.0 | | 9.0 | 9.0 | 9.0 | 9.0 | |
| საქართველოში რეგისტრირებულ | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მსუბუქ ავტომობილებზე | | | | | | | | | | | | | | | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე) | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | **277.0** | **0.0** | **277.0** | **300.9** | **0.0** | **300.9** | **190.0** | **0.0** | **190.0** | **190.0** | **0.0** | **190.0** | **190.0** | **190.0** | **190.0** | |
| ფიზიკურ პირებიდან | 195.7 | | 195.7 | 198.3 | | 198.3 | 140.0 | | 140.0 | **140.0** | | 140.0 | 140.0 | 140.0 | 140.0 | |
| იურიდიულ პირებიდან | 81.3 | | 81.3 | 102.6 | | 102.6 | 50.0 | | 50.0 | **50.0** | | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | **888.4** | **0.0** | **888.4** | **1,063.7** | **0.0** | **1,063.7** | **400.0** | **0.0** | **400.0** | **400.0** | **0.0** | **400.0** | **400.0** | **400.0** | **400.0** | |
| ფიზიკურ პირებიდან | 92.4 | | 92.4 | 239.4 | | 239.4 | 50.0 | | 50.0 | **50.0** | | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | |
| იურიდიულ პირებიდან | 796.0 | | 796.0 | 824.3 | | 824.3 | 350.0 | | 350.0 | **350.0** | | 350.0 | 350.0 | 350.0 | 350.0 | |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | | | | |
| სხვა გადასახადები | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | | | | |
| გრანტები | **14,597.6** | **13,705.1** | **892.5** | **15,285.9** | **14,829.5** | **456.4** | **11,375.2** | **11,057.3** | **317.9** | **341.4** | **341.4** | **0.0** | **395.0** | **416.0** | **416.0** | |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან | **222.5** | | **222.5** | **456.4** | | **456.4** | **317.9** | | **317.9** | **0.0** | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიღებული გრანტები | | | | | | | | | | | | | | | | |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 14,375.1 | 13,705.1 | 670.0 | 14,829.5 | 14,829.5 | 0.0 | 11,057.3 | 11,057.3 | 0.0 | 341.4 | 341.4 | 0.0 | 395.0 | 416.0 | 416.0 | |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 770.7 | 770.7 | 0.0 | 751.8 | 751.8 | 0.0 | 1,062.1 | 1,062.1 | 0.0 | 341.4 | 341.4 | 0.0 | 395.0 | 416.0 | 416.0 | |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 770.7 | 770.7 | | 751.8 | 751.8 | | 1,062.1 | 1,062.1 | | 341.4 | 341.4 | | 395.0 | 416.0 | 416.0 | |
| სპეციალური ტრანსფერი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 13,604.5 | 12,934.5 | 670.0 | 14,077.7 | 14,077.7 | 0.0 | 9,995.2 | 9,995.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | 9,650.5 | 8,980.5 | 670.0 | 12,593.8 | 12,593.8 | | 9,291.2 | 9,291.2 | | 0.0 | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | **704.0** | 704.0 | | **704.0** | 704.0 | | **704.0** | 704.0 | | **0.0** | | | | | | |
| გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კაპიტალური | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | | | | |
| სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსება | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | | | | |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები | **3,250.0** | 3,250.0 | | **779.8** | 779.8 | | **0.0** | | | **0.0** | | | | | | |
| **სხვა შემოსავლები** | **5,193.9** | **0.0** | **5,193.9** | **9,366.5** | **0.0** | **9,366.5** | **7,753.3** | **0.0** | **7,753.3** | **5,380.6** | **0.0** | **5,380.6** | **4,830.0** | **4,830.0** | **4,830.0** | |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **1,104.1** | **0.0** | **1,104.1** | **1,706.0** | **0.0** | **1,706.0** | **420.0** | **0.0** | **420.0** | **340.0** | **0.0** | **340.0** | **340.0** | **340.0** | **340.0** | |
| **პროცენტები** | 576.6 | | 576.6 | 1,145.4 | | 1,145.4 | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |
| **დივიდენდები** | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | **0.0** | | | | | | |
| **რენტა** | **527.6** | **0.0** | **527.6** | **560.6** | **0.0** | **560.6** | **420.0** | **0.0** | **420.0** | **340.0** | **0.0** | **340.0** | **340.0** | **340.0** | **340.0** | |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 425.8 | | 425.8 | 445.9 | | 445.9 | 380.0 | | 380.0 | **300.0** | | 300.0 | 300.0 | 300.0 | 300.0 | |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 101.8 | | 101.8 | 114.7 | | 114.7 | 40.0 | | 40.0 | **40.0** | | 40.0 | 40.0 | 40.0 | 40.0 | |
| სხვა არაკლასიფიცირებული რენტა | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **3,039.9** | **0.0** | **3,039.9** | **6,518.3** | **0.0** | **6,518.3** | **5,970.7** | **0.0** | **5,970.7** | **3,775.2** | **0.0** | **3,775.2** | **3,320.0** | **3,320.0** | **3,320.0** | |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **2,852.7** | **0.0** | **2,852.7** | **6,404.3** | **0.0** | **6,404.3** | **5,900.7** | **0.0** | **5,900.7** | **3,705.2** | **0.0** | **3,705.2** | **3,250.0** | **3,250.0** | **3,250.0** | |
| საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |
| სანებართვო მოსაკრებელი | 78.4 | | 78.4 | 167.9 | | 167.9 | 50.0 | | 50.0 | **50.0** | | 50.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 | |
| სახელმწიფო ბაჟი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0.4 | | 0.4 | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 2,562.3 | | 2,562.3 | 6,008.4 | | 6,008.4 | 5,650.7 | | 5,650.7 | **3,455.2** | | 3,455.2 | 3,000.0 | 3,000.0 | 3,000.0 | |
| კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | **0.0** | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 211.5 | | 211.5 | 228.0 | | 228.0 | 200.0 | | 200.0 | 200.0 | | 200.0 | 200.0 | 200.0 | 200.0 | |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 187.2 | 0.0 | 187.2 | 114.0 | 0.0 | 114.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 | |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 187.2 | | 187.2 | 114.0 | | 114.0 | 70.0 | | 70.0 | 70.0 | | 70.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 | |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 969.9 | | 969.9 | 946.3 | | 946.3 | 1,292.6 | | 1,292.6 | 1,195.4 | | 1,195.4 | 1,100.0 | 1,100.0 | 1,100.0 | |
| ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე | 79.9 | | 79.9 | 195.9 | | 195.9 | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 0.0 | | | 0.0 | | | 70.0 | | 70.0 | 70.0 | | 70.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 | |
| | | | | | | | | | | 0.0 | | | | | | |
| არაფინანსური აქტივების კლება | 1,650.6 | 0.0 | 1,650.6 | 2,980.7 | 0.0 | 2,980.7 | 1,049.0 | 0.0 | 1,049.0 | 300.0 | 0.0 | 300.0 | 160.0 | 160.0 | 160.0 | |
| ძირითადი აქტივები | 97.7 | | 97.7 | 346.7 | | 346.7 | 110.0 | | 110.0 | 100.0 | | 100.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 | |
| მატერიალური მარაგები | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| ფასეულობები | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | 0.0 | | | | | | |
| არაწარმოებული აქტივები | 1,552.9 | 0.0 | 1,552.9 | 2,634.0 | 0.0 | 2,634.0 | 939.0 | 0.0 | 939.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მიწა | 1,552.9 | | 1,552.9 | 2,634.0 | | 2,634.0 | 939.0 | | 939.0 | **200.0** | | 200.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | |

საანგარიშო 2020-2025 წლების პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების ფორმირებაზე. კერძოდ: დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩაირიცხება ქვეყნის მასშტაბით მობილიზებული დამატებითი ღირებულების გადასახადის 19,0%, რასაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი მოცულობა 2024 წელს მთლიანი შემოსავლების 45,4%-ია (23758,9 ათ. ლარი), ხოლო დღეს არსებული პროგნოზებით 2029 წლისათვის იგი მთლიანი შემოსავლების 80,6% იქნება და 37528,7 ათ. ლარს მიაღწევს.

საანგარიშო პერიოდში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ქონების გადასახადიდან მისაღები თანხების პროგნოზი უცვლელია და იგი გასული წლების ანალოგიურია. მისი მოცულობა 2026 - 2029 წლებში განისაზღვრება 3000,0 ათ. ლარით. ქონების გადასახადი ფორმირების ძირითადი წყაროა საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებული შემოსავლები.

მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების ტრანსფერების ნაწილში ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის, რომლის მოცულობაც გასული წლების მოცულობასთან შედარებით გაზრდილია.

## 2.3. წყალტუბოს მუნიიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ათასი ლარი

| ფუნქც კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 00 00 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 54,671.8 | 15,435.1 | 39,236.7 | 59,648.4 | 11,295.2 | 48,353.2 | 38,500.0 | 341.4 | 38,158.6 | 40,863.9 | 43,594.7 | 46,534.7 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 6,459.0 | 0.0 | 6,459.0 | 8,091.7 | 0.0 | 8,091.7 | 7,936.6 | 0.0 | 7,936.6 | 7,808.1 | 8,266.8 | 7,875.0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 30,672.9 | 14,552.6 | 16,120.3 | 27,412.8 | 10,148.5 | 17,264.3 | 9,368.9 | 0.0 | 9,368.9 | 10,921.9 | 12,269.3 | 14,277.0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 2,966.6 | 0.0 | 2,966.6 | 3,688.7 | 0.0 | 3,688.7 | 2,903.6 | 0.0 | 2,903.6 | 3,069.3 | 3,222.2 | 3,354.6 |
| 04 00 | განათლება | 5,496.0 | 435.5 | 5,060.5 | 7,994.2 | 775.3 | 7,218.9 | 7,862.3 | 0.0 | 7,862.3 | 8,016.0 | 8,145.0 | 8,467.6 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 5,459.5 | 132.2 | 5,327.3 | 8,157.4 | 9.1 | 8,148.3 | 6,412.6 | 0.0 | 6,412.6 | 6,668.5 | 6,863.9 | 7,135.6 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3,617.8 | 314.8 | 3,303.0 | 4,303.6 | 362.3 | 3,941.3 | 4,016.0 | 341.4 | 3,674.6 | 4,380.2 | 4,827.5 | 5,424.9 |

ანალოგიურად შემოსულობებისა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის გადასახდელებიც 2025 წელთან შედარებით გაზრდილია და შემდგომ, 2027-2029 წლების პერიოდში, აგრძელებს სტაბილურ ზრდას.

2027-2029 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. 2026 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება მთლიანი გადასახდელების 24,0%-ია, ხოლო 2029 წლისათვის - 30%-ს გადააჭარბებს.

სტაბილურად იზრდება ბიუჯეტის ყველა პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება. მათ შორისაა: დასუფთავება და გარემოს დაცვა, სკოლამდელი დაწესებულებები, კულტურული ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. იგი მზარდი დინამიკით გამოირჩევა 2026-2029 წლების განმავლობაში. მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

## 2. 4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 52396,6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55329,6 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.6%.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 49545,2 ათასი ლარი, ფაქტიურად 52348,9 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 105,7% შეადგინა.

**ა) საგადასახადო შემოსავლები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 27696,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 102,4 % -ია (27038,1ათასი ლარი), მათ შორის: **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 23758,9 ათასი ლარი (გეგმა 23223,1 ათასი ლარი) ანუ გეგმა შესრულდა 102,3%-ით **. ქონების გადასახადის გეგმა** საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 3815,0 ათას ლარს, მიღებულია 3937,6 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 2495,3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 4,7 ათასი

ლარი, არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე - 73,0 ათასი ლარი. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 198,3 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 102,6 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 239,4 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 824,3 ათასი ლარი.

გეგმის ზევით მიღებულია 658,4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა ქონების გადასახადი, სახელმწიფო ხაზინის გავლით, მთლიანად აკუმულირდება მუნიციპალიტეტში. მისაღები შემოსავლის გეგმის განსაზღვრას აკეთებს ფინანსთა სამინისტრო წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით. გეგმის ზევით შემოსავლის მიღება დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში მდებარე მეწარმეთა საქმიანობის გაფართოებასთან.

**ბ) გრანტები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 15285,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 101,8%-ია (გეგმა საანგარიშო პერიოდისათვის 15019,6 ათასი ლარი). **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** - 14077,7 ათასი ლარი, მათ / შორის: **საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2402 განკარგულებით** გამოყოფილი თანხების (11735,7 ათასი ლარი) ფარგლებში **დაფინანსდა:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.მაღლაკში მე-12,13,16,20-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანი-ოფშკვითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ.პატრიკეთში ბაზმანების, ლელეძეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რებილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ ახალ საყულიაში ბაღის გზა, ჭელიძეები გზის, მირზა ჩანქსელიანის უბანი და სასაფლაოს გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფელ გეგუთში აღმაშენებლის, კუხიანიძეების და ფიროსმანის ქუჩებზე და ვარციხეჰესის დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ ცხუნკური ჯვარის უბანი ,სოფელ ცხუნკური-ზესიაური გზის, დედაღვთისას მონასტერთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში მე-6 ქუჩისა და მელაძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; სოფელ ხომულში სახერხის უბანში, მე-5 ქუჩაზე და 27 ქუჩაზე, სოფელ ბანოჯაში №10, №17 და№7 სოფელ გუმბრა ზზიკაძეები სასაფლაოს მიმართულებით გზის ბეტონის საფარით მოწყობა;სოფელ ჩუნეში №2 ქუჩა (ძეძილეთამდე),№11 ქუჩა (ცენტრალური გზა), ,№12-31 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფელ მეორე უბანი №3, №6 ქუჩის მეორე ჩიხი და პირველი ჩიხი, №8 ქუჩა მესამე ჩიხი გზის ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია - მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების, მოწყობა, რეაბილიტაცია. წყალტუბოს მუნიცციპალიტეტის სოფლებში მუხიანში, აბდალაძე-ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფრით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ძვ საყულია წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეების, კაშიას უბნებში, გზების ბეტონის საფარით მოწყობა. სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტარო მანაგაძეების უბანი, მელქაძეების უბანი, ტურაზელიძეებს უბანი, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეების უბანი, ხელაიების უბანი, სოფელ გუმათში ავალიანები, დაჩების უბანი, ველას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე თვალობძეები და სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანი და სოფელ ბანოჯაში 39 -ე ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით მოწყობა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტი (ეკომიგრანტთა დასახლება) ჭელიძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

**სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების** (779,8 ათასი ლარი) ფარგლებში განხორციელდა 2024 წლის 6-7 თებერვალს მომხდარი სტიქიის (ძლიერი წვიმა და ქარი) შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლებისთვის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა შემდეგ ლოკაციებზე: ქალაქი წყალტუბო, კოლხეთის ქუჩის მეორე ჩიხი ბინა N10, 9 აპრილის ქუჩა N3, 9 აპრილის ქუჩა N5. ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28, 29 და 30 სექტემბერს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად, დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთების სამუშაოების და კერძო მოსახლეობისათვის დაზიანებული სახურავების გადახურვისათვის საჭირო გადასახური მასალის (ხის მასალა და თუნუქი) შესყიდვა.

**,,საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018 – 2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის №746 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გამოეყო** 400,0 ათასი ლარი - აღნიშნული თანხა გადანაწილებული იქნა შემდეგ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) წისქვილთან არსებული წყაროსა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა - 30 000 ლარი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში (ჩხობაძეების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 126 500 ლარი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში (აგიაშვილების უბანი) გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით - 100 000 ლარი (პირველი ეტაპი); ქ. წყალტუბოში, ბალანჩივაძის ქუჩაზე მცირე ზომის ფანჩატურის მოწყობა - 35000 ლარი, გეგუთში ვარციხქესის დასახლებაში, გუმბრაში (გუმბრინის დასახლება) და ქვიტირში სკვერის მოწყობა - 20000 ლარი, მოქალაქეთა ჩართულობის პროგრამის

ფარგლებში ქ. წყალტუბოში, თბილისის ქუჩა #3 ბინის მიმდებარედ და კოლხეთის ქუჩა #10 ბინის მიმდებარედ სკვერის მოწყობა - 13500 ლარი და ქ. წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა, პირველი ჩიხი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - 75 000 ლარი.

**„მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით** მიღებულია დაფინანსება 458,2 ათასი ლარი, რის ფარგლებშიც განხორციელდა შიდა მუნიციპალური გზების შეკეთება ინერტული მასალებით სოფლებში ცხუნკურის, ჩუნეშის, ოფურჩხეთის, რიონი, მექვენისა და დღნორისის ადმინისტრაციულ ერთეულში ; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ ნოღაში და სოფელ რიონში არსებული დაზიანებული ; ქალაქ წყალტუბოში, ქუთაისის ქუჩიდან გ. ტაბიძის ქუჩის მიმართულებით გამავალი არხის ამოწმენდა, დაღრმავება და გაფართოება, ასევე გოგებაშვილისა და კოსტავას ქუჩებზე გამავალი არხის ამოწმენდა, დაღრმავება და გაფართოება და წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული მცირე ზომის სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია ლორთქიფანიძი, რუსთავის, ბესიკის ქუჩებზე და სოფელ გვიშტიბში ; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფელ გუმბრაში 2 ერთეული, სოფელ ჩუნეშში 2 ერთეული და ქვედა მესხეთში 1 ერთეული მოსაცდელის ; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მაღლაკში და სოფელ ზედა მესხეთში ახალი სპორტული მოედნის მოწყობა.

**„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 დეკემბრის #2401 განკარგულებით** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებულია 704,0 ათასი ლარი, მათ შორის: სოფელ გეგუთში - მეურნეობის დასახლებაში საერთო საცხოვრებელი ბინის ეზოს 2 შემოღობვა, ასევე კულტურის სახლის რეაბილიტაცია, სოფელ გვიშტიბში - სასაფლაოს ღობის მოწყობა, პირველი წყალტუბო - სანიაღვრე არხების მოწყობა, ბანოჯა - თორნისწყაროზე სკვერის მოწყობა, დღნორისა - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, ლეხიდრისთავი - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნამოწესრიგება, საჩხეური - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, მაღლაკი - ზედა მაღლაკში ფანჩატურის მოწყობა, მიწაწითელი - გარე განათების ქსელის მოწყობა, დერჩი - სოფლის ცენტრში მდებარე შენობის რეაბილიტაცია, ვანისჭალა - სოფლის შიდა საუბნო გზების მოხვნა-მოწესრიგება, მუხიანი - რკინიგზის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის მიმდებარედ გარე განათების ქსელის მოწყობა, ქვედა მესხეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ოფურჩხეთი - გარე განათების ქსელის მოწყობა, გუმათი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ჟონეთი - ჯიშტერას წყაროს შემოღობვა, ოფშკვითი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ტყაჩირი - სოფლის ცენტრში ტრენაჟორის მოწყობა, ნოღა - გარე განათების ქსელის მოწყობა, საყულია - ამბულატორიის ეზოს შემოღობვა, ასევე ზედა უბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის გარე განათების მოწყობა, ფარცხანაყანევი -

კოპიტნარის დევნილთა დასახლებაში სკვერის მოწყობა, ქვიტირი - გარე განათების ქსელის მოწყობა, ზედა მესხეთი - მელაძეების უბანში ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობა, სოფელი წყალტუბო - ფანჩატურის მოწყობა მეორე უბნის კლუბის შენობასთან, ასევე ფანჩატურის მოწყობა ადმინისტრაციულ შენობასთან, ჩუნეში - ფანჩატურის მოწყობა და არსებული წყაროს რეაბილიტაცია.

**საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები** - 456,4 ათასი ლარი, მათ შორის **საგრანტო პროექტი ,,შემოქმედებითი კომპასი საქართველო"-ს კოორდინატორის** და 2024 წლის 06 ივნისის საქართველოს მთავრობის №815 განკარგულების ფარგლებში ევროკავშირის დაფინანსებით ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდაჭერისათვის მოპოვებული გრანტი - 15 113 ლარი, **საგრანტო პროექტის სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის** ფარგლებში - 441,3 ათასი ლარი.

**სხვა შემოსავლები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9366,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 125,1% -ია (გეგმა – 7487,5 ათასი ლარი), მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 1145,4 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 445,9 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 114,7 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 167,9 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 6008,4 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 228,0 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 114,0 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 946,3 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 195,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმის 125%-ით შესრულება უმეტესწილად განაპირობა სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებიდან მიღებული მოსაკრებლის 1 549,9 ათასი ლარით გადაჭარბებამ (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიზარდა კაზინოების რაოდენობა და ფუნქციონირებს 4 დაწესებულება).

**დ) არაფინანსური აქტივების კლება** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 2980,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 104,5%-ით, (გეგმა 2851,4 ათასი ლარი), მათ შორის: ძირითადი აქტივები - 346,7 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 2634,0 ლარი. გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირება ხდება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

| დასახელება | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის იანვარი - დეკემბრის ფაქტი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | % |
| II. ხარჯები | 33,078.2 | 2,192.4 | 30,885.8 | 29,958.3 | 2,106.2 | 27,852.1 | 90.6 |
| შრომის ანაზღაურება | 4,833.3 | 0.0 | 4,833.3 | 4,749.2 | 0.0 | 4,749.2 | 98.3 |
| საქონელი და მომსახურება | 7,283.0 | 1,010.4 | 6,272.6 | 5,772.3 | 948.0 | 4,824.4 | 79.3 |
| პროცენტი | 17.4 | 0.0 | 17.4 | 10.9 | 0.0 | 10.9 | 62.6 |
| სუბსიდიები | 15,548.6 | 262.9 | 15,285.7 | 14,417.5 | 259.6 | 14,157.9 | 92.7 |
| გრანტები | 347.4 | 0.0 | 347.4 | 338.1 | 0.0 | 338.1 | 97.3 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,145.7 | 50.0 | 2,095.7 | 2,113.1 | 49.1 | 2,064.0 | 98.5 |
| სხვა ხარჯები | 2,902.8 | 869.1 | 2,033.7 | 2,557.1 | 849.6 | 1,707.6 | 88.1 |

## ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი

| ორგ. კოდი | დასახელება | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | % |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 177.1 | 162.8 | 91.9 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 23,344.6 | 21645.1 | 92.7 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 974.5 | 895.5 | 91.9 |
| 04 00 | განათლება | 200.6 | 171.0 | 85.3 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 1,102.6 | 683.8 | 62.0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 18.6 | 18.1 | 97.6 |
| | სულ | 25,818.0 | 23576.4 | 91.3 |

| დასახელება | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | % |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | **2,851.4** | 2980.7 | 104.5 |
| ძირითადი აქტივები | 218.7 | 346.7 | 158.6 |
| არაწარმოებული აქტივები | 2632.774 | 2634 | 100.0 |
| მიწა | 2632.8 | 2634 | 100.0 |

## ზ) ვალდებულებები

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| VII. ვალდებულებების ცვლილება | **-55.6** | **0.0** | **-55.6** | **-55.6** | **0.0** | **-55.6** | **100.0** |
| ზრდა | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0** |
| კლება | **55.6** | **0.0** | **55.6** | **55.6** | **0.0** | **55.6** | **100.0** |

სსიპ ,,საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2024 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 161.1 ათ ლარს, 2024 წლის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) ვალი შემცირდა 68.9 ათ. ლარით. რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩა ვალი 92.2 ათ. ლარი.

**თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით**

| ფუნქციონალ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | გეგმა | ხარჯი | შესრულება |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 7119.6 | 6404.4 | 0.90 |
| 7.4 | ეკონომიკური საქმიანობა | 21100.2 | 19808.6 | 0.94 |
| 7.5 | გარემოს დაცვა | 4815.0 | 4073.7 | 0.85 |
| 7.6 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 9928.5 | 8674.9 | 0.87 |
| 7.7 | ჯანმრთელობის დაცვა | 292.3 | 288.0 | 0.99 |
| 7.8 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 6982.3 | 5866.8 | 0.84 |
| 7.9 | განათლება | 5947.9 | 5496.1 | 0.92 |
| 7.10 | სოციალური დაცვა | 3424.0 | 3351.2 | 0.98 |

**ი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - - 2313,2 ათასი ლარის ოდენობით.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 2344,9 ათასი ლარის ოდენობით.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 605,6 ათასი ლარის ოდენობით.

წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 6 908 748 ლარიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გარდამავალი ვალდებულებებზე მიიმართა 2 454 726 ლარი; 2023 წლის გარდამავალ პროექტებზე, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2023 წელს 95 541 ლარი და თავისუფალი ნაშთიდან ხარჯებში გაიწერა 4 034 516 ლარი. ასევე მუნიციპალიტეტის საბანკო ანგარიშზე ირიცხება 2014 წლის №34 და №35 განკარგულებების ფარგლებში გამოყოგფილი თანხიდან დარჩენილი 132145 ლარი. ხოლო სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან ანგარიშზე ირიცხება ეკონომიის სახით 190 865 ლარი.

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 53590,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (58951,8 ათასი ლარი) 90,9 პროცენტია.

**ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 33078,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 29958,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 90,6%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 25818,0 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 23576,4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91,3%-ია.

### პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 00 00 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 58,951.8 | 15,570.1 | 43,381.6 | 53,590.3 | 15,435.1 | 38,155.2 | 90.9 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 7,181.6 | 0.0 | 7,181.6 | 6,460.0 | 0.0 | 6,460.0 | 90.0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 32,126.4 | 14,621.4 | 17,505.0 | 29,590.5 | 14,552.6 | 15,037.9 | 92.1 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3,467.4 | 0.0 | 3,467.4 | 2,966.6 | 0.0 | 2,966.6 | 85.6 |
| 04 00 | განათლება | 5,979.9 | 488.4 | 5,491.6 | 5,496.0 | 435.5 | 5,060.5 | 91.9 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 6,503.4 | 141.3 | 6,362.1 | 5,459.4 | 132.2 | 5,327.2 | 83.9 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3,693.0 | 319.0 | 3,374.0 | 3,617.8 | 314.8 | 3,303.0 | 98.0 |

1) **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 6460,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (7181,6 ათასი ლარი) 90 პროცენტია.**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1696,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4735,7 ათასი ლარი, კადრების მომზადება - გადამზადება 27,8 ათასი ლარი.

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 7,181.6 | 0.0 | 7,181.6 | 6,460.0 | 0.0 | 6,460.0 | 90.0 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 7,099.0 | 0.0 | 7,099.0 | 6,460.0 | 0.0 | 6,460.0 | 91.0 |
| 01 01 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1,795.1 | 0.0 | 1,795.1 | 1,696.5 | 0.0 | 1,696.5 | 94.5 |
| 01 01 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია | 5,265.3 | 0.0 | 5,265.3 | 4,735.7 | 0.0 | 4,735.7 | 89.9 |
| 01 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადება | 38.6 | 0.0 | 38.6 | 27.8 | 0.0 | 27.8 | 72.0 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 82.7 | 0.0 | 82.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 82.7 | 0.0 | 82.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

1) **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**
2) ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 29590,5 ათასი ლარით, რაც გეგმის (32126,4 ათასი ლარი) 92,1 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | % |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | |

| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 32,126.4 | 14,621.4 | 17,505.0 | 29,590.5 | 14,552.6 | 15,037.9 | 92.1 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 20,837.8 | 11,264.4 | 9,573.4 | 19,655.4 | 11,259.4 | 8,396.0 | 94.3 |
| 02 01 01 | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | 17,758.6 | 10,626.1 | 7,132.5 | 17,010.9 | 10,676.3 | 6,334.6 | 95.8 |
| 02 01 02 | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | 2,167.8 | 126.5 | 2,041.4 | 1,898.6 | 103.7 | 1,794.9 | 87.6 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 350.0 | 0.0 | 350.0 | 266.5 | 0.0 | 266.5 | 76.2 |
| 02 01 04 | ხიდების და ბოგირების მშენებლობა | 561.5 | 511.9 | 49.6 | 479.4 | 479.4 | 0.0 | 85.4 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 3,490.8 | 1,688.2 | 1,802.6 | 2,937.0 | 1,673.9 | 1,263.1 | 84.1 |
| 02 02 01 | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია | 1,115.9 | 322.7 | 793.2 | 1,107.1 | 322.4 | 784.7 | 99.2 |
| 02 02 02 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 2,374.9 | 1,365.4 | 1,009.4 | 1,829.9 | 1,351.5 | 478.4 | 77.1 |
| 02 03 | გარე განათება | 985.0 | 0.0 | 985.0 | 924.9 | 0.0 | 924.9 | 93.9 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 800.0 | 0.0 | 800.0 | 756.3 | 0.0 | 756.3 | 94.5 |
| 02 03 02 | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა | 185.0 | 0.0 | 185.0 | 168.6 | 0.0 | 168.6 | 91.1 |
| 02 04 | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია | 954.2 | 822.0 | 132.1 | 866.4 | 801.5 | 65.0 | 90.8 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 1,109.6 | 0.0 | 1,109.6 | 901.9 | 0.0 | 901.9 | 81.3 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 3,405.1 | 120.2 | 3,284.8 | 3,152.4 | 118.2 | 3,034.2 | 92.6 |
| 02 06 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა | 2,182.1 | 0.0 | 2,182.1 | 2,095.0 | 0.0 | 2,095.0 | 96.0 |
| 02 06 02 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 118.6 | 0.0 | 118.6 | 117.2 | 0.0 | 117.2 | 98.8 |
| 02 06 03 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 792.3 | 120.2 | 672.1 | 628.2 | 118.2 | 510.0 | 79.3 |
| 02 06 04 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება | 312.1 | 0.0 | 312.1 | 312.1 | 0.0 | 312.1 | 100.0 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 882.0 | 713.0 | 169.0 | 856.0 | 699.7 | 156.3 | 97.1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 08 | საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | 139.6 | 0.0 | 139.6 | 38.6 | 0.0 | 38.6 | 27.7 |
| 02 09 | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 200.0 | 0.0 | 200.0 | 153.2 | 0.0 | 153.2 | 76.6 |
| 02 10 | მოქალაქეთა ჩართულობა | 118.6 | 13.5 | 105.1 | 104.6 | 0.0 | 104.6 | 88.2 |
| 02 11 | ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა | 3.8 | 0.0 | 3.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## 3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2966,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (3467,4 ათასი ლარი) 85,6 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3,467.4 | 0.0 | 3,467.4 | 2,966.6 | 0.0 | 2,966.6 | 85.6 |
| 03 01 | სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის | 319.1 | 0.0 | 319.1 | 89.100 | 0.0 | 89.1 | 27.9 |
| 03 02 | უპატრონო ცხოველების ოპერირება | 68.0 | 0.0 | 68.0 | 68.0 | 0.0 | 68.0 | 100.0 |
| 03 03 | დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა | 299.5 | 0.0 | 299.5 | 299.5 | 0.0 | 299.5 | 100.0 |
| 03 05 | ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები | 813.0 | 0.0 | 813.0 | 799.9 | 0.0 | 799.9 | 98.4 |
| 03 06 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება | 1,967.7 | 0.0 | 1,967.7 | 1,710.1 | 0.0 | 1,710.1 | 86.9 |

## 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 5496,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5979,9 ათასი ლარი) 91,9 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 04 00 | განათლება | 5,979.9 | 488.4 | 5,491.6 | 5,496.0 | 435.5 | 5,060.5 | 91.9 |
| 04 01 | საბავშვო ბაღების გაერთიანება | 5,483.7 | 0.0 | 5,483.7 | 5,052.7 | 0.0 | 5,052.7 | 92.1 |
| 04 02 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია | 496.2 | 488.4 | 7.9 | 443.4 | 435.5 | 7.9 | 89.3 |

## 5. კულტურა, რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 5459,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (6503,4 ათასი ლარი) 83,9 % -ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 6,503.4 | 141.3 | 6,362.1 | 5,459.4 | 132.2 | 5,327.2 | 83.9 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 3,405.0 | 141.3 | 3,263.7 | 2,672.2 | 132.2 | 2,540.0 | 78.5 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 325.3 | 0.0 | 325.3 | 262.8 | 0.0 | 262.8 | 80.8 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 3,079.7 | 141.3 | 2,938.4 | 2,409.5 | 132.2 | 2,277.3 | 78.2 |
| 05 01 02 01 | წყალტუბო არენა | 731.6 | 0.0 | 731.6 | 556.4 | 0.0 | 556.4 | 76.1 |
| 05 01 02 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება | 1,553.3 | 0.0 | 1,553.3 | 1,466.8 | 0.0 | 1,466.8 | 94.4 |
| 05 01 02 04 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 794.8 | 141.3 | 653.5 | 386.3 | 132.2 | 254.1 | 48.6 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 3,063.4 | 0.0 | 3,063.4 | 2,780.6 | 0.0 | 2,780.6 | 90.8 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2,447.5 | 0.0 | 2,447.5 | 2,329.3 | 0.0 | 2,329.3 | 95.2 |
| 05 02 01 01 | წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი | 850.4 | 0.0 | 850.4 | 769.7 | 0.0 | 769.7 | 90.5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | 1,393.1 | 0.0 | 1,393.1 | 1,366.9 | 0.0 | 1,366.9 | 98.1 |
| 05 02 01 03 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი | 204.0 | 0.0 | 204.0 | 192.7 | 0.0 | 192.7 | 94.5 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებები | 515.9 | 0.0 | 515.9 | 351.4 | 0.0 | 351.4 | 68.1 |
| 05 02 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 100.0 | 0.0 | 100.0 | 99.9 | 0.0 | 99.9 | 99.9 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 35.0 | 0.0 | 35.0 | 6.6 | 0.0 | 6.6 | 18.9 |

## 6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 3617,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (3693,0 ათასი ლარი) 98,0 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2024 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3,693.0 | 319.0 | 3,374.0 | 3,617.8 | 314.8 | 3,303.0 | 98.0 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 269.0 | 269.0 | 0.0 | 265.7 | 265.7 | 0.0 | 98.8 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 269.0 | 269.0 | 0.0 | 265.7 | 265.7 | 0.0 | 98.8 |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 3,424.012 | 50.0 | 3,374.0 | 3,352.1 | 49.1 | 3,303.0 | 97.9 |
| 06 02 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი | 463.100 | 0.0 | 463.1 | 451.7 | 0.0 | 451.7 | 97.5 |
| 06 02 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება | 2.0 | 0.0 | 2.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 50.0 |
| 06 02 03 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის | 72.7 | 0.0 | 72.7 | 72.3 | 0.0 | 72.3 | 99.4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 04 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი | 12.8 | 10.0 | 2.8 | 10.5 | 9.3 | 1.2 | 82.0 |
| 06 02 05 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება | 718.1 | 0.0 | 718.1 | 714.4 | 0.0 | 714.4 | 99.5 |
| 06 02 06 | ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი | 267.000 | 0.0 | 267.0 | 259.4 | 0.0 | 259.4 | 97.1 |
| 06 02 07 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება | 1,102.6 | 0.0 | 1,102.6 | 1,078.8 | 0.0 | 1,078.8 | 97.8 |
| 06 02 08 | სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება | 158.7 | 0.0 | 158.7 | 158.7 | 0.0 | 158.7 | 100.0 |
| 06 02 09 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 7.0 | 0.0 | 7.0 | 3.4 | 0.0 | 3.4 | 47.9 |
| 06 02 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა | 412.0 | 0.0 | 412.0 | 398.7 | 0.0 | 398.7 | 96.8 |
| 06 02 11 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 59.6 | 40.0 | 19.6 | 59.4 | 39.8 | 19.6 | 99.6 |
| 06 02 12 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება | 1.6 | 0.0 | 1.6 | 1.6 | 0.0 | 1.6 | 100.0 |
| 06 02 13 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა | 106.0 | 0.0 | 106.0 | 103.2 | 0.0 | 103.2 | 97.4 |
| 06 02 14 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია | 18.3 | 0.0 | 18.3 | 16.8 | 0.0 | 16.8 | 91.5 |
| 06 02 15 | სპციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 100.0 |
| 06 02 16 | სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება | 22.0 | 0.0 | 22.0 | 21.9 | 0.0 | 21.9 | 99.5 |

## 2.5. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბრის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 40495,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40026,1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 98,8%.

**სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:**




წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 40215,4 ათასი ლარი, ფაქტიურად 38865,5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 96,6% შეადგინა.




ა) **საგადასახადო შემოსავლები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 21774,3 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 20145.3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 1629.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 19695,4 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი 17559.9 ათასი ლარი) შედარებით 2135.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული. **ქონების გადასახადის გეგმა** საანგარიშო პერიოდში შეადგინა 2101,2 ათას ლარი, მიღებულია -2078,9 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია -1988,1 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 1,9 ათასი ლარი, სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 59,6 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 2,0 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 17,3 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 10,0 ათასი ლარი.

| დასახელება | კოდი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 23,684.8 | 0.0 | 23,684.8 | 21,774.3 | 0.0 | 21,774.3 |
| დღგ | | 21,583.6 | | 21,583.6 | 19,695.4 | | 19,695.4 |
| ქონების გადასახადი | 113 | 2,101.2 | 0.0 | 2,101.2 | 2,078.9 | 0.0 | 2,078.9 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 2,020.7 | | 2,020.7 | 1,988.1 | | 1,988.1 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 1.9 | 0.0 | 1.9 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 1131132 | 1.0 | | 1.0 | 1.9 | | 1.9 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 37.5 | 0.0 | 37.5 | 61.6 | 0.0 | 61.6 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 35.1 | | 35.1 | 59.6 | | 59.6 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 2.3 | | 2.3 | 2.0 | | 2.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 42.0 | 0.0 | 42.0 | 27.3 | 0.0 | 27.3 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131151 | 21.8 | | 21.8 | 17.3 | | 17.3 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131152 | 20.3 | | 20.3 | 10.0 | | 10.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 1136 | 0.0 | | | 0.0 | | |

**ბ) გრანტები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 9631,7 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 12911.8 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 3280,1 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული (აღნიშნული განპირობებულია იმით რომ გასულ წელს გრანტი იქნა მიღებული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის, რაც საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა), მათ შორის: **მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად** 526,7 ათასი ლარი (მათ შორის მიღებულ იქნა საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება - 183,4 ათ. ლარი, საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურა - 90,5 ათ. ლარი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის

ცენტრი - 215,3 ათ. ლარი, სხვა მიზნობრივი ტრანსფერი - 37,5 ათასი ლარი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახებისათვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად - 30,3 ათ. ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად - 7,2 ათ. ლარი).

**ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 8625,2 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით დაფინანსდა 7991,9 ათ. ლარი,** მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვილიშორში (ქვედა ქვილიშორში) სასმელი წყლის ქსელისა და მაგისტრალის რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში სანიაღვრე სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მუხიანში, აბდალაძე - ფხაკაძეების უბნებში გზების ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საყულიაში ძვ. საყულია წისქვილის, მეკვერიების, ლომიძეების, კაშიას უბნებში გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია; სოფელ ოფურჩხეთში ახალი სასაფლაოს გზის, სოფელ ჯიმასტაროს მანაგაძეების უბანი, მელქაძეების უბანი, ტურაზელიძეების უბანი, ყოფილი სკოლის უკან, ჩაკვეტაძეების უბანი, ხელაიების უბანი, სოფელ გუმათში ავალიანები, დაჩების უბანი, ველას უბნის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუბნეშში (მე-10 ქუჩა), ზედა ჩუნეშში ლორთქიფანიძე - თვალოძეები და სოფელ ყუმისთავში შალამბერიძეების უბანი და სოფელ ბანოჯაში 39-ე ქუჩაზე გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, იმერეთის საყრდენი პუნქტი (ეკონომისტთა დასახლება) ჭელიძეების უბნებში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26 ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბლიტაცია; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხომულში 26 ქუჩისა და შიდა ქუჩებზე გზების ბეტონის საფარით რეაბლიტაცია; სოფელ გვიშტიბი ზენდელიანების, კირთაძეების უბანი, ნიჟარაძეების უბანი, პირველი ქ. მაღაზიის უკან,

პირველი ჩიხი, ჩავჩიძეების უბანი, #17 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. თერნალში მე-15, 18, 21 ქუჩებზე გზების და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების; სოფელ ქვიტირში #10, 22 , 25, 11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია; სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანი და სოფელ გეგუთში მეურნეობის დასახლებაში გზის ბეტონის საფარით მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში #28 და #30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

**„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 16 იანვრის #55 განკარგულებით მიღებულია 633.3 ათასი ლარი.**

**საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები - 479,8 ათასი ლარი, საგრანტო პროექტის სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის ფარგლებში.**

.

ათასი ლარი

| დასახელება | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | **10,987.7** | **10,669.7** | **317.9** | **9,631.7** | **9,151.9** | **479.8** |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | **317.9** | | **317.9** | **479.8** | | **479.8** |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | **10,669.7** | **10,669.7** | **0.0** | **9,151.9** | **9,151.9** | **0.0** |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | **800.2** | **800.2** | **0.0** | **526.7** | **526.7** | **0.0** |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | **514.2** | 514.2 | | **526.7** | 526.7 | |
| სპეციალური ტრანსფერი | **286.1** | 286.1 | | **0.0** | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **9,869.5** | **9,869.5** | **0.0** | **8,625.2** | **8,625.2** | **0.0** |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | **9,165.5** | **9,165.5** | | **7,991.9** | **7,991.9** | |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | **704.0** | 704.0 | | **633.3** | 633.3 | |

**გ) სხვა შემოსავლები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 7585,7 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 7091.2 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 494.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 828.6 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 641.7 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 92.1 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 95.5 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 4650.0 ათასი ლარი (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაიზარდა კაზინოების რაოდენობა და ფუნქციონირებს 4 დაწესებულება), ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 128.7 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 115.7 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი. ჯარიმები, სანქციები და საურავები - 891.2 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 142.2 ათასი ლარი.

ათასი ლარი

| დასახელება | კოდი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 5,542.9 | 0.0 | 5,542.9 | 7,585.7 | 0.0 | 7,585.7 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **141** | **271.0** | **0.0** | **271.0** | **1,562.4** | **0.0** | **1,562.4** |
| **პროცენტები** | **1411** | **0.0** | | | **828.6** | | 828.6 |
| **რენტა** | **1415** | **271.0** | **0.0** | **271.0** | **733.8** | **0.0** | **733.8** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 14151 | **231.0** | | 231.0 | **641.7** | | 641.7 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 14154 | **40.0** | | 40.0 | **92.1** | | 92.1 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **142** | **4,371.1** | **0.0** | **4,371.1** | **4,989.9** | **0.0** | **4,989.9** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **1422** | **4,332.1** | **0.0** | **4,332.1** | **4,874.2** | **0.0** | **4,874.2** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | **36.5** | | 36.5 | **95.5** | | 95.5 |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | 142213 | **4,145.7** | | 4,145.7 | **4,650.0** | | 4,650.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 142214 | **149.9** | | 149.9 | **128.7** | | 128.7 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **1423** | **39.0** | **0.0** | **39.0** | **115.7** | **0.0** | **115.7** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 14232 | **39.0** | | 39.0 | **115.7** | | 115.7 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **143** | **861.8** | | **861.8** | **891.2** | | **891.2** |
| **ტრანსფერი რომელიც სხაგან არ არის კლასიფიცირებული** | **144** | **0.0** | | | **142.2** | | **142.2** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **145** | **39.0** | | **39.0** | **0.0** | | |

**დ) არაფინანსური აქტივების კლება** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1034.4 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 2926.7 ათასი ლარი, სახელმწიფო ქონების პრივატიზებიდან მიღებული შემოსავალი როგორც სახელმწიფო არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან) მიმდინარე პერიოდში 1892.3 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

ძირითადი აქტივები - 110,1 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 924,3 ლარი.




**ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით**

ათასი ლარი

| დასახელება | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| II. ხარჯები | 28,287.2 | 987.3 | 27,299.9 | 24,354.4 | 737.6 | 23,616.8 |
| შრომის ანაზღაურება | 3,858.4 | 0.0 | 3,858.4 | 3,813.3 | 0.0 | 3,813.3 |
| საქონელი და მომსახურება | 5,237.2 | 584.1 | 4,653.0 | 4,035.2 | 446.8 | 3,588.5 |
| პროცენტი | 17.4 | 0.0 | 17.4 | 3.6 | 0.0 | 3.6 |
| სუბსიდიები | 15,154.3 | 218.9 | 14,935.4 | 13,673.8 | 201.8 | 13,472.0 |
| გრანტები | 50.0 | 0.0 | 50.0 | 36.4 | 0.0 | 36.4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 2,097.3 | 64.8 | 2,032.5 | 1,803.1 | 52.6 | 1,750.5 |
| სხვა ხარჯები | 1,872.6 | 119.4 | 1,753.1 | 989.0 | 36.4 | 952.6 |

## ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი:

| org. kodi | დასახელება | 2025 წლის იანვარ - სექტემბრის ბიუჯეტის გეგმა | 2025 წლის იანვარ - სექტემბრის ბიუჯეტის ფაქტი | % |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 72,8 | 72.7 | 99,9 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 17107,8 | 13241,4 | 77,4 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 699,6 | 457.6 | 65,4 |
| 04 00 | განათლება | 89.2 | 59,5 | 66,7 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 1909.6 | 817,2 | 42,8 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 46,9 | 29,6 | 63,1 |
| | სულ | 19925.8 | 14678,0 | 73,7 |

| დასახელება | 2025 წლის იანვარ - სექტემბრის ბიუჯეტის გეგმა | 2025 წლის იანვარ - სექტემბრის ბიუჯეტის ფაქტი | % |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 280,0 | 1034,4 | 369,4 |
| ძირითადი აქტივები | 80,0 | 110,1 | 137,6 |
| არაწარმოებული აქტივები | 200,0 | 924,3 | 462,2 |
| მიწა | 200,0 | 924,3 | 462,2 |

## ზ) ვალდებულებები

| დასახელება | გეგმა | ფაქტი | პროცენტი |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 36,0 | 27,8 | 77,2 |

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

| ფუნქციონალ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | გეგმა | ხარჯი | შესრულების % |
|---|---|---|---|---|
| 00 | სულ | 48213.4 | 39032.7 | 81 |
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 5659.9 | 5155.9 | 91 |
| 7.4 | ეკონომიკური საქმიანობა | 13528.1 | 11279.3 | 83 |
| 7.5 | გარემოს დაცვა | 4741.3 | 3552.2 | 75 |
| 7.6 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 8170.1 | 5914.3 | 72 |
| 7.7 | ჯანმრთელობის დაცვა | 218.9 | 201.9 | 92 |
| 7.8 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 6690.5 | 5005.0 | 75 |
| 7.9 | განათლება | 5762.5 | 5231.6 | 91 |
| 7.10 | სოციალური დაცვა | 3442 | 2692.5 | 78 |

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ საანგარიშო პერიოდისთვის 39060,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (48249,0 ათასი ლარი) 81,0 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 37620,5 ათასი ლარი) დახარჯულია 1439,7 ათასი ლარით მეტი.

### 2) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5183,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (5695,9 ათასი ლარი) 91,0 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის მმართველობის და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3127.9 ათასი ლარი) დახარჯულია 397.0 ათასი ლარით მეტი.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1376,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 3791,6 ათასი ლარი, კადრების მომზადება - გადამზადება 15,9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან (გეგმა - 70,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გამოყოფილია 53.4 ათასი ლარი, ხოლო გახარჯულია 14,3 ათასი ლარი, მათ შორის:

| № | თარიღი | ბრძანებ. № | ბრძანების თარიღი | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 15.04.2025 | 48. 482510513 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან რომან დგებუაძისათვის თანხის გამოყოფა | 12000 | 12000 |
| 2 | 06.06.2025 | 48.48251578 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მელანია ტყეშელაშვილისათვის თანხის გამოყოფა | 2300 | 2300 |
| 3 | 22.09.2025 | 48. 48252652 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2025 წლის 20 სექტემბერს მომხდარი ძლიერი სტიქიური მოვლენის - ძლერი ქარისა და წვიმის შედეგად, დაზიანებულიმრავალბინიანისაცხოვრებელისახლებისსახურავებისრეაბილიტაციისათვის თანხისგამოყოფისშესახებ | 39058 | 0 |
| | | | | | |
| სულ თანხა: | | | | 53358 | 14300 |

**3) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14365,7 ათასი ლარით, რაც გეგმის (16831,4 ათასი ლარი) 85,4 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 14 701,4 ათასი ლარი) დახარჯულია 335,7 ათასი ლარით ნაკლები.თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბერი ფაქტი | | | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 23,396.7 | 10,361.3 | 13,035.5 | 18,324.7 | 8,497.3 | 9827.4 | 78.3 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 13,294.6 | 7,219.4 | 6,075.2 | 11,090.3 | 6,217.7 | 4872.6 | 83.4 |
| 02 01 01 | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | 11,719.4 | 7,219.4 | 4,500.0 | 9,694.4 | 6,217.7 | 3476.7 | 82.7 |
| 02 01 02 | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | 1,408.6 | 0.0 | 1,408.6 | 1,339.6 | 0.0 | 1339.6 | 95.1 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 119.8 | 0.0 | 119.8 | 38.3 | 0.0 | 38.3 | 32.0 |
| 02 01 04 | ხიდების და ბოგირების მშენებლობა | 46.8 | 0.0 | 46.8 | 18.0 | 0.0 | 18.0 | 38.4 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 3,323.0 | 2,459.5 | 863.5 | 2,419.2 | 1,680.7 | 738.5 | 72.8 |
| 02 02 01 | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია | 1,698.9 | 1,589.3 | 109.6 | 1,131.4 | 1,049.8 | 81.6 | 66.6 |
| 02 02 02 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 1,624.2 | 870.2 | 753.9 | 1,287.8 | 630.9 | 656.9 | 79.3 |
| 02 03 | გარე განათება | 883.8 | 0.0 | 883.8 | 665.4 | 0.0 | 665.4 | 75.3 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 710.0 | 0.0 | 710.0 | 639.8 | 0.0 | 639.8 | 90.1 |
| 02 03 02 | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა | 173.8 | 0.0 | 173.8 | 25.6 | 0.0 | 25.6 | 14.7 |
| 02 04 | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია | 324.6 | 16.5 | 308.1 | 26.5 | 5.9 | 20.6 | 8.2 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 822.5 | 0.0 | 822.5 | 421.4 | 0.0 | 421.4 | 51.2 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 3,475.8 | 0.0 | 3,475.8 | 2,576.2 | 0.0 | 2576.2 | 74.1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 06 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა | 2,568.0 | 0.0 | 2,568.0 | 2,340.3 | 0.0 | 2340.3 | 91.1 |
| 02 06 02 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 4.3 | 0.0 | 4.3 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 99.9 |
| 02 06 03 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 903.5 | 0.0 | 903.5 | 231.6 | 0.0 | 231.6 | 25.6 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 735.8 | 665.9 | 69.9 | 639.7 | 593.0 | 46.7 | 86.9 |
| 02 08 | საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | 147.0 | 0.0 | 147.0 | 144.3 | 0.0 | 144.3 | 98.2 |
| 02 09 | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 233.5 | 0.0 | 233.5 | 189.0 | 0.0 | 189.0 | 80.9 |
| 02 10 | მოქალაქეთა ჩართულობა | 156.2 | 0.0 | 156.2 | 152.7 | 0.0 | 152.7 | 97.8 |

## 3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2420,8 ათასი ლარით, რაც გეგმის (3042,4 ათასი ლარი) 79,6 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის დასუფთავება და გარემოს დაცვის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 2324,8 ათასი ლარი) დახარჯულია 96,0 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბერი ფაქტი | | | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3,042.4 | 0.0 | 3,042.4 | 2,420.8 | 0.0 | 2420.8 | 79.6 |
| 03 01 | სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის | 819.1 | 0.0 | 819.1 | 614.1 | 0.0 | 614.1 | 75,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 02 | უპატრონო ცხოველების ოპერირება | 60.0 | 0.0 | 60.0 | 36.1 | 0.0 | 36.1 | 60.2 |
| 03 05 | ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები | 50.0 | 0.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 06 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება | 2,113.3 | 0.0 | 2,113.3 | 1,770.6 | 0.0 | 1770.6 | 83.8 |

## 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 5231,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (5762,5 ათასი ლარი) 90,8 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის განათლების ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3750,3 ათასი ლარი) დახარჯულია 1481,3 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბერი ფაქტი | | | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 04 00 | განათლება | 5,762.5 | 507.6 | 5,254.9 | 5,231.6 | 345.7 | 4885.9 | 90.8 |
| 04 01 | საბავშვო ბაღების გაერთიანება | 5,254.9 | 0.0 | 5,254.9 | 4,885.9 | 0.0 | 4885.9 | 93.0 |
| 04 02 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია | 507.6 | 507.6 | 0.0 | 345.7 | 345.7 | 0.0 | 68.1 |

## 5. კულტურა, რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 5005,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (6690,5 ათასი ლარი) 74,8 პროცენტია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 3660,1 ათასი ლარი) დახარჯულია 1344,9 ათასი

ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბერი ფაქტი | | | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 6,690.5 | 1,639.5 | 5,051.0 | 5,005.0 | 724.4 | 4280.6 | 74.8 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 3,758.8 | 1,639.5 | 2,119.3 | 2,770.3 | 724.4 | 2045.9 | 73.7 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 49.2 | 0.0 | 49.2 | 44.6 | 0.0 | 44.6 | 90.7 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 3,709.6 | 1,639.5 | 2,070.1 | 2,725.7 | 724.4 | 2001.3 | 73.5 |
| 05 01 02 01 | წყალტუბო არენა | 636.3 | 0.0 | 636.3 | 573.8 | 0.0 | 573.8 | 90.2 |
| 05 01 02 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება | 1,423.8 | 0.0 | 1,423.8 | 1,418.3 | 0.0 | 1418.3 | 99.6 |
| 05 01 02 04 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 1,649.5 | 1,639.5 | 10.0 | 733.5 | 724.4 | 9.1 | 44.5 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2,901.9 | 0.0 | 2,901.9 | 2,214.5 | 0.0 | 2214.5 | 76.3 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2,383.4 | 0.0 | 2,383.4 | 2,045.0 | 0.0 | 2045.0 | 85.8 |
| 05 02 01 01 | წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი | 837.9 | 0.0 | 837.9 | 704.1 | 0.0 | 704.1 | 84.0 |
| 05 02 | წყალტუბოს | 1,362.0 | 0.0 | 1,362.0 | 1,198.4 | 0.0 | 1198.4 | 88.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 02 | მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | | | | | | | |
| 05 02 01 03 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი | 183.6 | 0.0 | 183.6 | 142.6 | 0.0 | 142.6 | 77.7 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებები | 418.5 | 0.0 | 418.5 | 94.5 | 0.0 | 94.5 | 22.6 |
| 05 02 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 100.0 | 0.0 | 100.0 | 75.0 | 0.0 | 75.0 | 75.0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 29.8 | 0.0 | 29.8 | 20.2 | 0.0 | 20.2 | 67.9 |

## 6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2894,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (3660,9 ათასი ლარი) 79,1 %-ია. ხოლო წინა წელთან შედარებით (2024 წლის ბიუჯეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების დაფინანსებამ ანალოგიურ პერიოდში შეადგინა 2603,7 ათასი ლარი) დახარჯულია 1057,2 ათასი ლარით მეტი. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| ეკონომ.კლასიფიკ.კოდი | ფუნქციონალური კოდი | პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2025 წლის იანვარ - სექტემბერი ბიუჯეტის გეგმა | | | 2025 წლის ბიუჯეტის იანვარ - სექტემბერი ფაქტი | | | შესრულების % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ |
| | | 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 3,660.9 | 283.7 | 3,377.2 | 2,894.4 | 254.4 | 2639.9 | 79.1 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 218.9 | 218.9 | 0.0 | 201.8 | 201.8 | 0.0 | 92.2 |
| | | 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 218.9 | 218.9 | 0.0 | 201.8 | 201.8 | 0.0 | 92.2 |
| | | 06 02 | სოციალური პროგრამები | 3,442.0 | 64.8 | 3,377.2 | 2,692.5 | 52.6 | 2,639.9 | 78.2 |
| | | 06 02 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი | 450.8 | 0.0 | 450.8 | 341.2 | 0.0 | 341.2 | 75.7 |
| | | 06 02 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება | 3.0 | 0.0 | 3.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 66.7 |
| | | 06 02 03 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის | 109.0 | 0.0 | 109.0 | 63.9 | 0.0 | 63.9 | 58.6 |
| | | 06 02 04 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი | 9.8 | 9.8 | 0.0 | 7.2 | 7.2 | 0.0 | 73.5 |
| | | 06 02 05 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება | 837.3 | 0.0 | 837.3 | 681.2 | 0.0 | 681.2 | 81.4 |
| | | 06 02 06 | ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი | 281.0 | 0.0 | 281.0 | 237.9 | 0.0 | 237.9 | 84.6 |
| | | 06 02 07 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება | 827.0 | 0.0 | 827.0 | 800.6 | 0.0 | 800.6 | 96.8 |
| | | 06 02 08 | სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება | 115.1 | 0.0 | 115.1 | 71.8 | 0.0 | 71.8 | 62.4 |
| | | 06 02 09 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 5.0 | 0.0 | 5.0 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 50.0 |
| | | 06 02 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა | 500.0 | 0.0 | 500.0 | 246.9 | 0.0 | 246.9 | 49.4 |
| | | 06 02 11 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 55.0 | 55.0 | 0.0 | 45.4 | 45.4 | 0.0 | 82.5 |
| | | 06 02 12 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება | 9.0 | 0.0 | 9.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 33.3 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 06 02 13 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა | 150.0 | 0.0 | 150.0 | 120.0 | 0.0 | 120.0 | 80.0 |
| | | 06 02 14 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია | 42.0 | 0.0 | 42.0 | 33.3 | 0.0 | 33.3 | 79.2 |
| | | 06 02 15 | სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება | 3.0 | 0.0 | 3.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | | 06 02 16 | სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება | 25.0 | 0.0 | 25.0 | 23.7 | 0.0 | 23.7 | 94.8 |
| | | 06 02 17 | გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის წყალტუბოში | 20.0 | 0.0 | 20.0 | 11.9 | 0.0 | 11.9 | 59.7 |

## თავი III. 2026-2029 წლების პრიორიტეტები, პროგრამები,ქვეპროგრამები/ღონისძიებები

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2026-2029 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები. ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით წყალტუბოს მოსახლეობის ეკონომიკურ გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა და ინოვაცია: განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს ასევე სხვა ქვეყანის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთის ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

**მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები**

2025 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. ჩამოყალიბდა 2026 – 2029 წლების მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

ათასი ლარი

| პროგრამულ[illegible] | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | | | |

| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0000 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 40,808.3 | 13,152.9 | 27,655.3 | 54,671.8 | 15,435.1 | 39,236.7 | 59,648.4 | 11,295.2 | 48,353.2 | 38,500.0 | 341.4 | 38,158.6 | 40,863.9 | 43,594.7 | 46,534.7 |
| 0100 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 5,955.6 | 183.6 | 5,772.0 | 6,459.0 | 0.0 | 6,459.0 | 8,091.7 | 0.0 | 8,091.7 | 7,936.6 | 0.0 | 7,936.6 | 7,808.1 | 8,266.8 | 7,875.0 |
| 0200 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 20,833.5 | 12,349.1 | 8,484.4 | 30,672.9 | 14,552.6 | 16,120.3 | 27,412.8 | 10,148.5 | 17,264.3 | 9,368.9 | 0.0 | 9,368.9 | 10,921.9 | 12,269.3 | 14,277.0 |
| 0300 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,957.4 | 0.0 | 1,957.4 | 2,966.6 | 0.0 | 2,966.6 | 3,688.7 | 0.0 | 3,688.7 | 2,903.6 | 0.0 | 2,903.6 | 3,069.3 | 3,222.2 | 3,354.6 |
| 0400 | განათლება | 4,875.9 | 472.5 | 4,403.4 | 5,496.0 | 435.5 | 5,060.5 | 7,994.2 | 775.3 | 7,218.9 | 7,862.3 | 0.0 | 7,862.3 | 8,016.0 | 8,145.0 | 8,467.6 |
| 0500 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 4,746.0 | 0.0 | 4,746.0 | 5,459.5 | 132.2 | 5,327.3 | 8,157.4 | 9.1 | 8,148.3 | 6,412.6 | 0.0 | 6,412.6 | 6,668.5 | 6,863.9 | 7,135.6 |
| 0600 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2,439.8 | 147.7 | 2,292.1 | 3,617.8 | 314.8 | 3,303.0 | 4,303.6 | 362.3 | 3,941.3 | 4,016.0 | 341.4 | 3,674.6 | 4,380.2 | 4,827.5 | 5,424.9 |

## 02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებულიხარჯები.

ათ. ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 20,833.5 | 12,349.1 | 8,484.4 | 30,672.9 | 14,552.6 | 16,120.3 | 27,412.8 | 10,148.5 | 17,264.3 | 9,368.9 | 0.0 | 9,368.9 | 10,921.9 | 12,269.3 | 14,277.0 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 12,141.1 | 8,501.0 | 3,640.1 | 19,655.4 | 11,259.4 | 8,396.0 | 15,482.3 | 7,656.3 | 7,826.0 | 2,228.9 | 0.0 | 2,228.9 | 3,185.6 | 3,527.4 | 4,450.0 |
| 02 01 01 | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | 10,374.3 | 7,605.3 | 2,769.0 | 17,010.9 | 10,676.3 | 6,334.6 | 12,890.1 | 7,608.4 | 5,281.7 | 1,578.9 | 0.0 | 1,578.9 | 2,135.6 | 2,322.4 | 2,700.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 2 01 0 2 | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | 1,163.7 | 296.3 | 867.4 | 1,898.6 | 103.7 | 1,794.9 | 2,379.0 | 22.8 | 2,356.2 | 500.0 | 0.0 | 500.0 | 1,000.0 | 1,105.0 | 1,500.0 |
| 0 2 01 0 3 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 3.7 | 0.0 | 3.7 | 266.5 | 0.0 | 266.5 | 138.4 | 0.0 | 138.4 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 50.0 | 100.0 | 100.0 |
| 0 2 01 0 4 | ხიდების და ბოგირების მშენებლობა | 599.4 | 599.4 | 0.0 | 479.4 | 479.4 | 0.0 | 74.8 | 25.1 | 49.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 150.0 |
| 0 2 0 2 | წყლის სისტემების განვითარება | 2,182.6 | 1,323.2 | 859.4 | 2,937.0 | 1,673.9 | 1,263.1 | 3,523.4 | 1,767.9 | 1,755.5 | 1,100.0 | 0.0 | 1,100.0 | 1,640.4 | 1,800.0 | 2,200.0 |
| 0 2 0 2 01 | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია | 1,275.2 | 1,042.5 | 232.8 | 1,107.1 | 322.4 | 784.7 | 1,755.3 | 1,050.1 | 705.2 | 250.0 | 0.0 | 250.0 | 700.0 | 750.0 | 900.0 |
| 0 2 0 2 0 2 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 907.3 | 280.7 | 626.6 | 1,829.9 | 1,351.5 | 478.4 | 1,768.1 | 717.8 | 1,050.3 | 850.0 | 0.0 | 850.0 | 940.4 | 1,050.0 | 1,300.0 |
| 0 2 0 3 | გარე განათება | 886.4 | 0.0 | 886.4 | 924.9 | 0.0 | 924.9 | 988.0 | 0.0 | 988.0 | 875.0 | 0.0 | 875.0 | 1,150.0 | 1,200.0 | 1,250.0 |
| 0 2 0 3 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 694.5 | 0.0 | 694.5 | 756.3 | 0.0 | 756.3 | 800.0 | 0.0 | 800.0 | 720.0 | 0.0 | 720.0 | 900.0 | 900.0 | 950.0 |
| 0 2 0 3 0 2 | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა | 191.9 | 0.0 | 191.9 | 168.6 | 0.0 | 168.6 | 188.0 | 0.0 | 188.0 | 155.0 | 0.0 | 155.0 | 250.0 | 300.0 | 300.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0204 | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია | 2,579.0 | 1,827.2 | 751.8 | 866.4 | 801.5 | 65.0 | 614.7 | 18.3 | 596.4 | 760.0 | 0.0 | 760.0 | 300.0 | 400.0 | 500.0 |
| 0205 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 378.2 | 0.0 | 378.2 | 1,984.3 | 0.0 | 1,984.3 | 1,294.9 | 0.0 | 1,294.9 | 350.0 | 0.0 | 350.0 | 650.0 | 800.0 | 1,000.0 |
| 0206 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 1,635.7 | 0.0 | 1,635.7 | 3,152.4 | 118.2 | 3,034.2 | 4,068.3 | 0.0 | 4,068.3 | 3,705.0 | 0.0 | 3,705.0 | 3,595.9 | 4,091.9 | 4,377.0 |
| 020601 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2,095.0 | 0.0 | 2,095.0 | 3,122.8 | 0.0 | 3,122.8 | 3,195.0 | 0.0 | 3,195.0 | 3,295.9 | 3,541.9 | 3,577.0 |
| 020602 | შენობების ფასადების რეაბილიტაცია | 0.0 | 0.0 | 0.0 | 117.2 | 0.0 | 117.2 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 200.0 | 300.0 |
| 020603 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 330.4 | 0.0 | 330.4 | 628.2 | 118.2 | 510.0 | 941.2 | 0.0 | 941.2 | 510.0 | 0.0 | 510.0 | 300.0 | 350.0 | 500.0 |
| 020604 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება | 1,305.2 | 0.0 | 1,305.2 | 312.1 | 0.0 | 312.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 0207 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 698.7 | 697.8 | 0.9 | 856.0 | 699.7 | 156.3 | 794.1 | 706.0 | 88.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 2 0 8 | საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | 68.2 | 0.0 | 68.2 | 38.6 | 0.0 | 38.6 | 147.4 | 0.0 | 147.4 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 0 2 0 9 | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 5.9 | 0.0 | 5.9 | 153.2 | 0.0 | 153.2 | 343.5 | 0.0 | 343.5 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 0 2 10 | მოქალაქეთა ჩართულობა | 257.9 | 0.0 | 257.9 | 104.6 | 0.0 | 104.6 | 156.2 | 0.0 | 156.2 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 150.0 | 150.0 | 200.0 |
| 0 2 11 | ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 50.0 | 100.0 | 100.0 |

**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)**

პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებებიდან გამომდინარე, მაინც არის მნიშვნელოვანი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში გზების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს როგორც კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს. პროგრამა ითვალისწინებს ასევე თოვლის საფარისგან, მეწყერის, ძლიერი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის გაწმენდა-შეკეთებას. საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით განხორციელდება შუქნიშნების მოვლა - შენახვა (ექსპლოატაცია) და სიჩქარის შემზღუდველი ბარიერების მოწყობა.

**პროგრამის მიზანია** მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნა, ტურისტული ინფრასტრუქტურისგანვითარება.

ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზებისა და ტროტუარების მოწესრიგება, ახალი გზების მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

**ქვეპროგრამის მიზანია** მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ახალი გზების მოწყობა.

ქვეპროგრამა: გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბლიტირებული გზების მოვლა - შენახვა (ექსპლოატაცია), რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრას, ორმოულ შეკეთებას და სხვა.

**ქვეპროგრამის მიზანია** ექსპლოატაციისათვის ვარგის მდგომარეობაში ქალაქის ქუჩებისა და გზების ინფრასტრუქტურის შენარჩუნების მიზნით საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების მიმდინარე შეკეთება.

ქვეპროგრამა: საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შესყიდვა, მონტაჟი და არსებულის მოვლა - შენახვა; შუქნიშნების მოვლა – შენახვა; სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, აზრებისა და ტრაფარეტების შესყიდვა - მონტაჟი.

**ქვეპროგრამის მიზანია** მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გარემოს შექმნა. საგზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირება.

**პროგრამა: წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)**

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული, ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიანს, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

**პროგრამის მიზანია** სანიაღვრე სისტემებისა და სასმელი წყლის ქსელის გამართული ფუნქციონირება.

**ქვეპროგრამა: სანიაღვრე სისტემების ექპლოატაცია / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 01 ).**

მუნიციპალიტეტში სანიაღვრე სისტემა სრულად გამართული არ არის, რის გამოც ხშირი და ინტენსიური წვიმების დროს ვერ უზრუნელყოფს მოსული უხვი ნალექის გატარებას, რაც იწვევს ნაწილი ქუჩების, კერძო ეზოებისა და სახლების დატბორვას, რომლის დროსაც ეკონომიურად ზარალდება მოსახლეობა. აღნიშნული პრობლემის ეტაპობრივად მოგვარების მიზნით, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე ქსელების მოვლა - პატრონობა (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებები და კაპიტალური სამუშაოები.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სანიაღვრე ქსელების გამართული ფუნქციონირება.

**ქვეპროგრამა: სასმელი წყლით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 02 02 02).**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება როგორც არსებული სასმელი წყლის ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) მოვლა - შენახვა,

რეაბილიტაცია, ასევე ახალი ქსელის მოწყობა. სასმელი წყლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სასმელი წყლის ქსელის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.

პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული ასევე მომსახურების. რაც შეეხება მის ხანგრძლივობას იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

**პროგრამის მიზანია** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება

ქვეპროგრამა: გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 03 01)

მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ამის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების გადახდას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

ქვეპროგრამა: გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 02)

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მუნიციპალიტეტის სოფლებში. თუმცა ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქსელის გაფართოება, რაც ითვალისწინებს ახალი ქსელის მოწყობას. ხოლო პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.

**ქვეპროგრამის მიზანია** გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამა: ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთება მომართვიანობის შესაბამისად.

**პროგრამის მიზანი** ქალაქის გაუმჯობესებული იერსახე.

**პროგრამა : ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)**

პროგრამის ფარგლებში მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული ამხანაგობების თანადაფინანსება საცხოვრებელი კორპუსებისა და უბნების კეთილმოწყობისათვის, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეკონსტრუქცია, რეაბილიტაცია, ეზოების კეთილმოწყობა, სამირკვლების, სადარბაზოების შიდა რემონტი, განათებისა და ლიფტების რეაბილიტაცია და პანდუსების მოწყობა, დაზიანებული წყალ-კანალიზაციების კომუნიკაციების აღდგენა, პარკეტებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაცია.

**პროგრამის მიზანია:** გაუმჯობესებული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ამხანაგობების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში.

**პროგრამა : კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ სკვერებისა და პარკის მოწყობა-რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა. სარეკრეაციო ზონებში სათამაშო ატრაქციონების მონტაჟი, უზრუნველყოფილი იქნება მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, შუა გამყოფი ზოლების მოწყობა - შევსება მწვანე ნარგავებითა და დეკორატიული განათებებით და მათი შენარჩუნება, შადრევნების მოვლა-პატრონობა და სხვა ღონისძიებები.

**პროგრამის მიზანია** ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. ტურისტებისთვის მიმზიდველი ქალაქი.

**ქვეპროგრამა: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამწვანება, გარე განათება და კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 06 01).**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა - მოწესრიგება და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება; გარე განათების, დეკორატიული განათების, მხატვრული მინათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; მწყობრიდან გამოსული ქსელების აღდგენითი სამუშაოები და ახალი ქსელების მოწყობა; სასმელი წყლის ქსელის, სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობა,

ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობა; ქუჩების, გაზონების კეთილმოწყობა; ხიდებისა და ბოგირების მოვლა – პატრონობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ავარიული, სანიტარული და დეკორატიული ჭრის უზრუნველყოფა, შადრევან – აუზების მოვლა – პატრონობა, პარკებში გაზონებსა და სკვერებში ყვავილების დარგვა და მოვლა.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ეკოლოგიურად სუფთა და ესთეტიური გარემოს შენარჩუნება–განვითარება.

ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქალაქსა და სოფლებში სკვერების, გაზონების და ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა. აგრეთვე დასასვენებელი საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, მათი ადაპტირება ქალებისა და მამაკაცების, ბავშვების, შშმ პირების საჭიროებებზე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

პროგრამა: საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 08)

პროგრამა ითვალისწინებს საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვას.
**პროგრამის მიზანია** საპროექტო დოკუმენტაციის შეძენა.

პროგრამა: სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09).

პროგრამა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საავტომობილო გზების, წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების მშენებლობა- სარეაბილიტაციო სამუშაოების და სხვა ღონისძიებების ტექნიკურ ზედამხედველობას.

**პროგრამის მიზანია** სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა.

პროგრამა: მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10).

პროგრამა ითვალისწინებს იმ პროექტების დაფინანსებას რომლებიც შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერის მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად.

**პროგრამის მიზანია** საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

## 03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ ტერიტორიამდე ტრანსპორტირება. სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან. უმეთვალყურეო შინაური ცხოველების ოპერირება- მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანა.

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,957.4 | 0.0 | 1,957.4 | 2,966.6 | 0.0 | 2,966.6 | 3,688.7 | 0.0 | 3,688.7 | 2,903.6 | 0.0 | 2,903.6 | 3,069.3 | 3,222.2 | 3,354.6 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 01 | სმარტი და ინოვაციური გადაწყვეტილებები შავი ზღვის ქვეყნებში მწვანე და სუფთა სასოფლო თემებისათვის | 0.0 | 0.0 | 0.0 | 89.1 | 0.000 | 89.1 | 838.4 | 0.0 | 838.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 02 | უპატრონო ცხოველების ოპერირება | 64.1 | 0.0 | 64.1 | 68.0 | 0.0 | 68.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 65.0 | 70.0 | 100.0 |
| 03 03 | დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა | 1,888.8 | 0.0 | 1,888.8 | 299.5 | 0.0 | 299.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 04 | საგრანტე პროგრამა ,,თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" | 4.5 | 0.0 | 4.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 05 | ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები | 499.7 | 0.0 | 499.7 | 799.9 | 0.0 | 799.9 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 150.0 | 150.0 |
| 03 06 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1,710.1 | 0.0 | 1,710.1 | 2,740.2 | 0.0 | 2,740.2 | 2,843.6 | 0.0 | 2,843.6 | 2,904.3 | 3,002.2 | 3,104.6 |

## უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის დაცვა საშიში, აგრესიული ცხოველებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია.მოსახლეობის შეტყობინებაზე დროული და ეფექტური რეაგირება. ცხოველთა პოპულაციების მართვა და კონტროლი.

**პროგრამის მიზანია** მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაცვა საშიში ცხოველებისგან.

**პროგრამა: დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 06).**

პროგრამის ფარგლებში ქალაქის ეკოლოგიური და უსაფრთხო მდგომარეობის შენარჩუნება- გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ ტერიტორიამდე ტრანსპორტირება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაგავშემკრები კონტეინერების განთავსება, მათი დეზინფექცია და მოვლა-პატრონობა.

**პროგრამის მიზანია:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის შენარჩუნება.

## 04 00 განათლება

განათლება წყალტუბოს მუნიციპალიტეტისთვის უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების გაერთიანების პროგრამის განხორციელება. რომლის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები, მოხდება ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

ათასი ლარი

| პროგრამუ ლი კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | 2027 წლის პროგნო | 2028 წლის პროგნო | 2029 წლის პროგნო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | | | |

| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | ზი | ზი | ზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0400 | განათლება | 4,875.9 | 472.5 | 4,403.4 | 5,496.0 | 435.5 | 5,060.5 | 7,994.2 | 775.3 | 7,218.9 | 7,862.3 | 0.0 | 7,862.3 | 8,016.0 | 8,145.0 | 8,467.6 |
| 04 01 | საბავშვო ბაღების გაერთიანება | 4,399.6 | 0.0 | 4,399.6 | 5,052.7 | 0.000 | 5,052.7 | 7,218.9 | 0.0 | 7,218.9 | 7,862.3 | 0.0 | 7,862.3 | 8,016.0 | 8,145.0 | 8,467.6 |
| 0402 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია | 476.3 | 472.5 | 3.7 | 443.4 | 435.500 | 7.9 | 775.3 | 775.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

### საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)

საბავშვო ბაღების გაერთიანება და მასში შემავალი ფილიალები წარმოადგენს სასწავლო – სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით, რომელთა მთავარი დანიშნულებაა საფუძველი ჩაუყაროს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ – ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.

**პროგრამის მიზანია** სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სრულფასოვანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

## 05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება კულტურის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, კულტურული და სპორტული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა. ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, თეატრების, ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებულ სპორტსმენთა წახალისება. მუნიციპალიტეტისთვის ერთ–ერთი პრიორიტეტია ყველა მოზარდს მიეცეს შესაძლებლობა გამოავლინოს ნიჭი და უნარი. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით მუნიციპალიტეტში სისტემატიურად ტარდება სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები.

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | | | მათ შორის | | | მათ შორის | | | | |
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 4,746.0 | 0.0 | 4,746.0 | 5,459.5 | 132.2 | 5,327.3 | 8,157.4 | 9.1 | 8,148.3 | 6,412.6 | 0.0 | 6,412.6 | 6,668.5 | 6,863.9 | 7,135.6 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2,103.0 | 0.0 | 2,103.0 | 2,672.2 | 132.200 | 2,540.0 | 4,322.8 | 9.1 | 4,313.7 | 2,858.7 | 0.0 | 2,858.7 | 3,056.6 | 3,241.4 | 3,478.0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 183.2 | 0.0 | 183.2 | 262.8 | 0.000 | 262.8 | 56.0 | 0.0 | 56.0 | 55.0 | 0.0 | 55.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,919.7 | 0.0 | 1,919.7 | 2,409.5 | 132.200 | 2,277.3 | 4,266.8 | 9.1 | 4,257.7 | 2,803.7 | 0.0 | 2,803.7 | 2,996.6 | 3,181.4 | 3,418.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 01 0 2 01 | წყალტუბო არენა | 207.5 | 0.0 | 207.5 | 556.4 | 0.000 | 556.4 | 805.5 | 0.0 | 805.5 | 776.5 | 0.0 | 776.5 | 796.6 | 831.4 | 868.0 |
| 05 01 0 2 0 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება | 1,097.4 | 0.0 | 1,097.4 | 1,466.8 | 0.000 | 1,466.8 | 1,807.2 | 0.0 | 1,807.2 | 1,877.2 | 0.0 | 1,877.2 | 1,900.0 | 1,950.0 | 2,100.0 |
| 05 01 0 2 0 4 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 614.8 | 0.0 | 614.8 | 386.3 | 132.200 | 254.1 | 1,654.1 | 9.1 | 1,645.0 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 300.0 | 400.0 | 450.0 |
| 05 0 2 | კულტურის სფეროს განვითარება | 2,636.2 | 0.0 | 2,636.2 | 2,780.6 | 0.000 | 2,780.6 | 3,804.0 | 0.0 | 3,804.0 | 3,533.9 | 0.0 | 3,533.9 | 3,589.9 | 3,597.6 | 3,631.6 |
| 05 0 2 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,924.3 | 0.0 | 1,924.3 | 2,329.3 | 0.000 | 2,329.3 | 3,062.0 | 0.0 | 3,062.0 | 3,183.9 | 0.0 | 3,183.9 | 3,229.9 | 3,232.6 | 3,261.6 |
| 05 0 2 01 01 | წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი | 632.1 | 0.0 | 632.1 | 769.7 | 0.000 | 769.7 | 1,070.8 | 0.0 | 1,070.8 | 1,087.3 | 0.0 | 1,087.3 | 1,110.3 | 1,100.0 | 1,120.0 |
| 05 0 2 01 0 2 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | 1,174.8 | 0.0 | 1,174.8 | 1,366.9 | 0.000 | 1,366.9 | 1,767.3 | 0.0 | 1,767.3 | 1,855.6 | 0.0 | 1,855.6 | 1,875.6 | 1,885.6 | 1,895.6 |
| 05 0 2 01 03 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი | 117.4 | 0.0 | 117.4 | 192.7 | 0.000 | 192.7 | 223.9 | 0.0 | 223.9 | 241.0 | 0.0 | 241.0 | 244.0 | 247.0 | 246.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 0 2 0 2 | კულტურული ღონისძიებები | 611.9 | 0.0 | 611.9 | 351.4 | 0.000 | 351.4 | 642.0 | 0.0 | 642.0 | 250.0 | 0.0 | 250.0 | 260.0 | 265.0 | 270.0 |
| 05 0 2 03 | რელიგიური ორგანიზაციებ ის ხელშეწყობა | 100.0 | 0.0 | 100.0 | 99.9 | 0.000 | 99.9 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 05 03 | ახალგაზრდობ ის მხარდაჭერა | 6.8 | 0.0 | 6.8 | 6.6 | 0.000 | 6.6 | 30.5 | 0.0 | 30.5 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 22.0 | 24.9 | 26.0 |

### სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამა ითვალისწინებს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაციას, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზებას და ნაკრები გუნდებისათვის მომზადებას, სპორტსმენთა შეკრებებისა და მივლინებების დაფინანსებას, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას, სპორტული დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაციას და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე წარმატებული წყალტუბოელი სპორტსმენების მატერიალურ წახალისებას. ა(ა)იპ-ების ხელშეწყობას.

**პროგრამის მიზანია** სხვადასხვა ასაკის მოსახლეობაში, როგორც ქალბატონებში, ასევე, მამაკაცებში ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ცნობიერების ამაღლება; სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება-პოპულარიზაცია.

### სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას, საერთაშორისო ხასიათის სპორტული ტურნირების ჩატარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. ასევე, მოხდება წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების წახალისება. ვეტერანი და დამსახურებული სპორტსმენების საიუბილეო თარიღების აღნიშვნა. ღონისძიებებში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.
**ქვეპროგრამის მიზანია:** სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება - პოპულარიზაცია.

### სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტულ დაწესებულებათა ფუნქციონირების ხელშეწყობა, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების დაფინანსება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება. სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება. მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სპორტული დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება, შეჯიბრებებსა და ტურნირებში მონაწილეობა. სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება.

**წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ წყალტუბოში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საფეხბურთო მოედნების (ცენტრალური, სათადარიგო ხელოვნურსაფარიანი, მინი ბუნებრივსაფარიანი) და აღმაშენებლის ქუჩის მიმდებარედ საფეხბურთო ცენტრის ჰიბრიდული საფეხბურთო მოედნის ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა - პატრონობა.

**ქვეპროგრამის მიზანია** წლის ნებისმიერ პერიოდში საფეხბურთო მოედნების მზადყოფნა დაგეგმილი ვარჯიშებისა და მატჩებისთვის.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02)**

ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია; ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

**სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04)**

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის აუცილებელია მოზარდი ახალგაზრდობის ჩართულობა ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, ამისათვის საჭიროა ახალი, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, მისი ადაპტირება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე. ამ მხრივ ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაციას.

**ქვეპროგრამის მიზანია:** სპორტული ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა, მისი ადაპტირება ქალთა და მამაკაცთა საჭიროებებზე.

**კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრებისათვის აუცილებელია წლის მანძილზე ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, ფესტივალები და საერთაშორისო კულტურული აქტივობები. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტის დაფუძნებული და მის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა და რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

**პროგრამის მიზანია:** კულტურის სფეროს ღონისძიებების ხელშეწყობა.

**კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

კულტურის სფეროს პოპულარიზაციისათვის ქვეპროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ხასიათის კულტურულ ღონისძიებებს, ფესტივალებსა და საერთაშორისო კულტურულ აქტივობებს. კულტურის ხელმისაწვდომობის მხარდაჭერისათვის მოხდება კულტურის სფეროში ა(ა)იპ-ების დაფინანსება ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების, თეატრების, ხელოვნებისსაქმიანობისა და კულტურის სხვა ობიექტების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.

**ქვეპროგრამის მიზანი:** სხვადასხვა კულტურული დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება.

**წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)**

ღონისძიების ფარგლებში ხორცილედდება ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო და სამხატვრო განათლების მიცემა და შემეცნებით - საგანმანათლებლო (13 წრე) დონის ამაღლება.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)**

ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის განვითარების ხელშეწყობა. განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება; ხალხური შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება; ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება და პოპულარიზაცია; თეატრის განვითარება-პოპულარიზაცია და დამკვიდრება საზოგადოებაში. ცენტრში შედის: 3 მუზეუმი, 2 კულტურის სახლი, 10 სასოფლო კლუბი, 27 სოფლის ბიბლიოთეკა. აგრეთვე ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ივერია“ და ანსამბლი ნადური.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)**

ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვა / მონაწილეობის გზით, სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური მასალების შექმნა და გავრცელება, ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე, ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება, ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება.

**ქვეპროგრამის მიზანია:** საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე ტურისტული ადგილების შესახებ ცნობადობის ამაღლება და ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესება.

**კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

მუნიციპალიტეტის მასშტაბით წლის მანძილზე განხორციელდება სხვადასხვა ხასიათის კულტურული ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, კულტურული დღეები, გამოფენები, კორკურსები და სხვა კულტურული აქტივობები.

**ქვეპროგრამის მიზანია** ქალაქის კულტურული ცხოვრების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

**ქვეპროგრამის მიზანი:** ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

**ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მცოხვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნა სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობა. რაც ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას, ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში მოხდება შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება. განხორციელდება მასობრივი ღონისძიებები.

**პროგრამის მიზანია** ახალგაზრდების ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში.

**06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობით და გარანტირებული სოციალური დახმარებით. მათ შორის სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და დახმარება, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მატერიაური წახალისება, მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება, უსახლკარო ოჯახებისათვის ბინის ქირით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველ ოჯახებზე და სხვა მოქალაქეებზე სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებები და ა.შ.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2,439.8 | 147.7 | 2,292.1 | 3,617.8 | 314.8 | 3,303.0 | 4,303.6 | 362.3 | 3,941.3 | 4,016.0 | 341.4 | 3,674.6 | 4,380.2 | 4,827.5 | 5,424.9 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 179.1 | 139.7 | 39.4 | 265.7 | 265.705 | 0.0 | 291.4 | 291.4 | 0.0 | 291.4 | 291.4 | 0.0 | 317.3 | 334.1 | 334.1 |
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | 179.1 | 139.7 | 39.4 | 265.7 | 265.705 | 0.0 | 291.4 | 291.4 | 0.0 | 291.4 | 291.4 | 0.0 | 317.3 | 334.1 | 334.1 |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0602 | სოციალური პროგრამები | 2,354.1 | 8.0 | 2,346.1 | 3,352.1 | 49.100 | 3,303.0 | 4,012.2 | 70.9 | 3,941.3 | 3,724.6 | 50.0 | 3,674.6 | 4,062.9 | 4,493.4 | 5,090.8 |
| 060201 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი | 361.9 | 0.0 | 361.9 | 451.7 | 0.000 | 451.7 | 597.4 | 0.0 | 597.4 | 627.8 | 0.0 | 627.8 | 636.7 | 632.8 | 632.8 |
| 060202 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება | 3.0 | 0.0 | 3.0 | 1.0 | 0.000 | 1.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 2.0 | 3.0 | 3.0 |
| 060203 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის | 79.7 | 0.0 | 79.7 | 72.3 | 0.000 | 72.3 | 130.0 | 0.0 | 130.0 | 130.0 | 0.0 | 130.0 | 137.4 | 143.3 | 150.5 |
| 060204 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი | 8.3 | 8.0 | 0.3 | 10.5 | 9.300 | 1.2 | 13.5 | 10.0 | 3.5 | 13.5 | 10.0 | 3.5 | 14.2 | 14.8 | 15.6 |
| 060205 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება | 716.6 | 0.0 | 716.6 | 714.4 | 0.000 | 714.4 | 840.0 | 0.0 | 840.0 | 850.0 | 0.0 | 850.0 | 882.0 | 926.1 | 1,007.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 06 | ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი | 211.5 | 0.0 | 211.5 | 259.4 | 0.000 | 259.4 | 352.3 | 0.0 | 352.3 | 323.3 | 0.0 | 323.3 | 339.5 | 313.0 | 328.6 |
| 06 02 07 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება | 770.3 | 0.0 | 770.3 | 1,078.8 | 0.000 | 1,078.8 | 1,000.0 | 0.0 | 1,000.0 | 900.0 | 0.0 | 900.0 | 882.0 | 1,000.0 | 1,087.8 |
| 06 02 08 | სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება | 105.6 | 0.0 | 105.6 | 158.7 | 0.000 | 158.7 | 150.0 | 0.0 | 150.0 | 155.0 | 0.0 | 155.0 | 157.5 | 165.4 | 173.6 |
| 06 02 09 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 3.9 | 0.0 | 3.9 | 3.4 | 0.000 | 3.4 | 7.5 | 0.0 | 7.5 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 8.0 | 9.0 | 10.0 |
| 06 02 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ასევე უსახლკარო / მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის | 0.0 | 0.0 | 0.0 | 398.7 | 0.000 | 398.7 | 512.6 | 0.0 | 512.6 | 325.0 | 0.0 | 325.0 | 600.0 | 800.0 | 1,175.4 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა | | | | | | | | | | | | | | | |
| 0 6 0 2 11 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 93.4 | 0.0 | 93.4 | 59.4 | 39.800 | 19.6 | 60.9 | 60.9 | 0.0 | 40.0 | 40.0 | 0.0 | 63.0 | 65.0 | 70.0 |
| 0 6 0 2 12 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.6 | 0.000 | 1.6 | 12.0 | 0.0 | 12.0 | 12.0 | 0.0 | 12.0 | 12.6 | 13.0 | 13.5 |
| 0 6 0 2 13 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 103.2 | 0.000 | 103.2 | 200.0 | 0.0 | 200.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 | 200.0 | 250.0 | 250.0 |
| 0 6 0 2 14 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია | 0.0 | 0.0 | 0.0 | 16.7 | 0.000 | 16.7 | 60.0 | 0.0 | 60.0 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 65.0 | 70.0 | 80.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 0 6 0 2 15 | სპციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.5 | 0.000 | 0.5 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 0 6 0 2 16 | სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 21.9 | 0.000 | 21.9 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 40.0 | 50.0 | 50.0 |
| 0 6 0 2 17 | გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის წყალტუბოში | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.000 | 0.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 35.0 | 40.0 |

**პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა, კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სერვისების მიწოოდებით.

**საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევდველობა

და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; ანტირაბიულ საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი, ,,C" ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, განსაკუთრებით საშიში დაავადებების მონიტორინგი და ზედამხედველობა. სამედიცინო სტატისტიკის წარმოება და ანგარიშგება. საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ -ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.
**ქვეპროგრამის მიზანია:** მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; საშიშ დაავადებათა პრევენცია.

**პროგრამა: სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02).** პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სახის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა კვებით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსებას, დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარებას, მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფას, წარჩინებულ სტუდენტთა ყოველთვიურ სტიპენდიას, სადღესასწაულო დღეებში ფინანსურ მხარდაჭერას, სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახებისათის სახლების შეძენა-მშენებლობას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**პროგრამის მიზანი:** მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაცია.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01)**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა (საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანით), მათი უზრუნველყოფა კვებითა და საამისოდ საჭირო, შესაბამისი პირობების მქონე ფართით. ბენეფიციართა კვება ხდება დღეში ერთხელ სასადილოში, ხოლო ბენეფიციარები რომლებიც ვერ ახერხებენ ადგილზე მოსვლას და ჩართული არიან შინ მიტანის პროგრამაში მათთვის საკვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ოჯახებში.
**ქვეპროგრამის მიზანია:** უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა კვებით უზრუნველყოფა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდა ან მისი ასაკი აღემატება 100 წელს.
**ქვეპროგრამის მიზანია** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ხანდაზმული მოქალაქეების თანადგომა და მხარდაჭერა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალიწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 600 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 800 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1500 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 600 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში (0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტიშვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი.

ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, ქვეპუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზეც, რომელთა შვილები დაიბადა 2025 წლის ნოემბერ-დეკემბერში და არა აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.
**ქვეპროგრამის მიზანია** მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სოციალური გარანტიების შექმნა, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04)**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილმეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 400 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 500 ლარის ოდენობით
**ქვეპროგრამის მიზანი:** გარდაცვლილ მოქალაქეთა პატივგება.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:
ა) მეორე მსოფლიო ომის მონაწილის დახმარება –1 000 ლარი;
ბ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის

დახმარება – 350 ლარი;

გ) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება – 600 ლარი;

დ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით – 400 ლარი;

ე) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება – 2000 ლარი;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერემბრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 500 ლარი;

ზ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპესაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;

თ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.

ი) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის ( ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 2000 ლარი;

კ) ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის დახმარება (გინეკოლოგის ან / და რეპროდუქტოლოგის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტს 200 ლარი.

ლ) 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი ,,ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 150 ლარის ოდენობით.

მ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომლიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 500 ლარი.

ნ) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, ა(ა) იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინკლუზური ცენტრის ბენეფიციარი 18 წლამდე ბავშვებისათვის, ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში მერის წარმომადგენლების შუამდგომლობის საფუძველზე მძიმე-სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის, კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 100 ლარის ღირებულებისა.

ო) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 2000 ლარი

პ) ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ყოველთვიური ფულადი დახმარება თვეში ერთხელ - 250 ლარი.

ჟ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება -300 ლარი.

რ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი.

ს) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება, რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების გარდაცვალების, ან/და უგვზოუკვლოდ დაკარგვის, გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50% არაუმეტეს 2000 ლარისა.

ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა.

ტ) პარკისონით დაავადებულ პირთა დახმარება -400 ლარი

უ) შშმ 18 წლამდე სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის სასმენი აპარატის შეძენა, თანხის ოდენობა განისაზღვრება არაუმეტეს 1500 ლარისა.

ფ) 2026-2027 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 0- დან 120000 ქულის ჩათვლით) პირველკლასელებისათვის სასკოლო ნივთების შესაძენის მიზნით 150 ლარი.

ქ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით, დამოუკიდებლად საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხელშეწყობის მიზნით, ტიფლოტექნიკური /ხმოვანი აპარატის შესაძენად თანხის გამოყოფა არაუმეტეს – 350 ლარისა.

ღ) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე ხანდაზმულთა სპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯების ანაზღაურება არაუმეტეს - 1500 ლარისა. მომსახურების დაფინანსების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია სპეციალური შემადგენლობით.

ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

**ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშთა) მაქსიმალური ჩართულობა კულტურულ-საგანმანათლებლო

პროცესში, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების გაჩენა. პროგრამა ემსახურება საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ხელოვნების სფეროში შშმ პირების საჭიროებების შესახებ, მათი პოტენციალის გამოვლენას და განვითარებას.
**ქვეპროგრამის მიზანია:** შშმ პირებისათვის ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების მიმართულების პროექტების ხელშეწყობა ხელშეწყობა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოსიხშირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, ანაზღაურდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს - 1000 ლარისა.
ონკოლოგიური დავადების მქონე პირების მკურნალობა-ოპერაციების,სამედიცინო კვლევების, ქიმიო, ჰორმონო და სხივურ თერაპიის და სხვა. პროცედურების თანადაფინანსებისათვის დაფინანსების წერილი გაიცემა წელიწადში ორჯერ ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.
ქვეპროგრამით დაფინანსდებიან სხვადასხვა დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვები, რომელთა
აუცილებელი სამედიცინო მომსახურეობა ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში და/ან ნაწილობრივ დაფინანსებულია საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამებით. მუნიციპალიტეტის მხრიდან მატერიალური დახმარების სახით გაიცემა თანხა 5000 ლარის ოდენობით.
ქვეპროგრამით მოსარგებლეები არიან ასევე 2-დან 15 წლამდე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად:
ა) F84.0 ბავშვთა აუტიზმი.
ბ) F84.1 ატიპიური აუტიზმი.
გ) F84.2 რეტის სინდრომი.
დ) F84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა.

ე) F84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით.
ვ) F84.5 ასპერგერის სინდრომი.
ზ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი.
თ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი.
ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (F-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ:
ა) F78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა.ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია.
ბ) F78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა.არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას.
გ) F78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი.
დ) F78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუსაზღვრელი ქცევითი აშლილობა.
პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.
ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მედიკამენტების შესაძენად დაფინანსდებიან მძიმე დაავადების მქონე პირები. თანხის ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი კომისია.
ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე მოხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების სტაციონლური მკურნალობის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -200 ლარისა.
ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტების მგზავრობის ხარჯები, რომელიც ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში (სახლი, ბაღი, და ა.შ.) განახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 0-დან 7 წლამდე ბავშვთა ადრეული განვითარების მხარდაჭერის პროგრამის მიწოდებას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვებისათვის. მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება მოხდება თვეში ერთხელ არაუმეტეს 550 (ოთხასორმოცდაათი) ლარისა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის ანგარიშზე.

**ქვეპროგრამის მიზანია:** ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

**სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2026 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ნაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება წელიწადში ერთჯერადად არაუმეტეს -
5000 ლარი. დახმარება ვრცელდება 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - ,,სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.

**ქვეპროგრამის მიზანია:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა.

**გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 09)**

ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.
**ქვეპროგრამის მიზანია:** გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, გენდერული საჭიროებების კვლევა.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა (პროგრამული კოდი 06 02 10).**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი (სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვთ 120 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულა) უსახლკარო ოჯახების მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენა, რომელთა საცხოვრებლი სახლები დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია, და არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებლი ფართი ან/და უსახლკარო ოჯახს (წევრებს) არ უფიქსირდებათ საკუთრებაში / თანასაკუთრებაში უძრავი ნივთი და ცხოვრობს ქირით ან ქირის გარეშე ან/და ცხოვრობს უსახლკარო ოჯახის წევრების საკუთრებაში / თანასაკუთრებაში, მაგრამ საცხოვრებელი პირობები არის მძიმე. (თითოეული უსახლკარო ოჯახების მცირე ფართიანი

ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან / და შეძენისათვის გამოყოფილი იქნას არა უმეტეს 70 000 ლარი).

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო ოჯახების თანადგომა და მხრდაჭერა.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)**

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან მძიმე სოციალურ - ეკონომიურ მდგომარეობაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2500 ლარს. გასაცემი თანხის ზუსტ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი კომისია.

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების თანადგომა და მხრდაჭერა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლ ბავშვთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 12)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი ბავშვები დედ-მამით ობოლ ბავშვებზე დახმარება განისაზღვრება – 500 ლარით, კვარტალში ერთხელ საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეთა ბინის ქირით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02 13)**

აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში ბინის ქირით იქნებიან უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი პირები, ასევე უსახლკარო ოჯახები, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების,უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო დარჩა უსახლკაროდ, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდები (18-21წელი), ასევე სხვადასხვა გარემოების გამო უსახლკაროდ დარჩენილი შშმ პირები და მრავალშვილანი ოჯახები, ბინის ქირა გაიცემა ყოველთვიურად არუმეტეს 300 ლარისა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში დაკმაყოფილდებიან ბენეფიციარები, რომელთაც არ გააჩნიათ სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი.

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.

**მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდია (პროგრამული კოდი 06 02 14)**

ქვეპროგრამის
ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოსმუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტები, რომლებმაც 2025 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო 100%-იანი გრანტი, 2026 წლის (იანვარი – ივლისი) განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ სტიპენდიას 200 ლარს, 70%-იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში 150 ლარს, 50%-იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში 100 ლარს. ასევე ის წარჩინებული პირველკურსელები რომლებიც 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე მოიპოვებენ სახელმწიფო სასწავლო 100%–იან გრანტს, 2026 წლის (ოქტომბერი – დეკემბერი) განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებენ სტიპენდიას 200 ლარს, 70%-იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში 150 ლარს, 50%-იანი გრანტის მოპოვების შემთხვევაში 100 ლარს.

**ქვეპროგრამის მიზანი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა.

**სპციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებული ბავშვების ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 15)**

ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახის გაძლიერების მიზნით გაეწევა დახმარება სეპციალიზირებულ დაწესებულებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი.

**ქვეპროგრამის მიზანი:** ბავშვების დახმარება.

**სადღესასწაულო დღეებში ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 16)**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ „სათნოების სახლის" ბენეფიციარების მატერიალური მხარდაჭერა სადღესასწუალო დღეებში (ახალი წელი, აღგდგომა). ფინანსური დახმარება განისაზღვრება სააღდგომოდ 100 ლარით და საახალწლოდ - 100 ლარით.

**ქვეპროგრამის მიზანი:** სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციართა ფინანსური და მორალური მხარდაჭერა.

**ქვეპროგრამა: გაძლიერებული ადგილობრივი თემების ახალგაზრდები კატასტროფების ზეგავლენის შემსუბუქების, უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის წყალტუბოში (პროგრამული კოდი 06 02 17)** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სუბსიდირება შემდეგ ღონისძიებებზე: უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების / განვითარების ხელშეწყობა, კატასტროფებისთვის მზადებით, ჯანდაცვაზე ხელისაწვდომობის გაზრდითა და სოციალური მხარდაჭერით; სასოფლო და საქალაქო თემების წევრების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, კატასტროფების მიმართ მოწყვლადობის შემცირებით, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაზრდით. თემების შედეგობის გაძლიერება ყოველდღიურ უბედურ შემთხვევებთან, დაავადებებთან და ეპიდემიებთან, კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციებთან უკეთ გამკლავებისა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ცენტრზე დაფუძნებული საქმიანობების განვითარება თემებში მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ხანდაზმულებისა და ახალგაზრდებისათვის.

**ქვეპროგრამის მიზანი:** უსაფრთხო თემების ჩამოყალიბების / განვითარების ხელშეწყობა.

## 01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში სხვადასხვა საკითხების რეგულირებასთან, როგორიცაა საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და

სხვა. ასევე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება, კადრების მომზადება-გადამზადება.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტი | | | 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი | | | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი | 2029 წლის პროგნოზი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | | |
| 01 00 | **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** | **5,955.6** | **183.6** | **5,772.0** | **6,459.0** | **0.0** | **6,459.0** | **8,091.7** | **0.0** | **8,091.7** | **7,936.6** | **0.0** | **7,936.6** | **7,808.1** | **8,266.8** | **7,875.0** |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 5,955.6 | 183.6 | 5,772.0 | 6,459.0 | 0.0 | 6,459.0 | 7,991.7 | 0.0 | 7,991.7 | 7,836.6 | 0.0 | 7,836.6 | 7,708.1 | 8,166.8 | 7,775.0 |
| 01 01 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1,523.8 | 0.0 | 1,523.8 | 1,695.5 | 0.0 | 1,695.5 | 2,055.4 | 0.0 | 2,055.4 | 2,098.9 | 0.0 | 2,098.9 | 2,116.3 | 2,198.6 | 2,145.8 |
| 01 01 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია | 4,216.2 | 0.0 | 4,216.2 | 4,735.7 | 0.0 | 4,735.7 | 5,885.4 | 0.0 | 5,885.4 | 5,686.7 | 0.0 | 5,686.7 | 5,541.8 | 5,918.2 | 5,579.2 |
| 01 01 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 183.6 | 183.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადება | 32.0 | 0.0 | 32.0 | 27.8 | 0.0 | 27.8 | 50.9 | 0.0 | 50.9 | 51.0 | 0.0 | 51.0 | 50.0 | 50.0 | 50.0 |

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 0 2 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| 01 0 2 01 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |